პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 43 (11047) | პარასკევი, 21 თებერვალი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა უმნიშვნელოვანესი ამოცანა

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობით ახალ და ახალ წარმატებებს აღწევს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, კულტურისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის სისტემატური გაუმჯობესების დარგში.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების მეოხებით საბჭოთა კავშირი მსოფლიოში ყველაზე მსხვილი მიწათმოქმედების ქვეყანა გახდა. 36 მილიონი ჰექტარი ყამირი მიწების ათვისება სსრ კავშირის ხალხთა ჭეშმარიტად გმირული საქმე იყო. სოფლის მეურნეობის მშრომელები წარმატებით წყვეტენ პარტიის მიერ დასახული ამოცანას — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც თავდადებით იბრძვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, უდიდესი მუშაობა გასწია რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის მისაღწევად.

როგორც საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობაზე აღინიშნა, რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, მანქანა - ტრაქტორთა სადგურებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკანასკნელ წლებში უზრუნველყვეს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სასოფლო - სამეურნეო კულტურების წარმოებისა და დაზღვევის შემდგომი გადიდება, მიაღწიეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ერთგვარ ზრდას. გადიდდა კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი და მათი განუყოფელი ფონდების ღირებულება, გაიზარდა კოლმეურნეთა შემოსავალი. სახელმწიფოს დახმარების შედეგად თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა მთიანი და სასაზღვრო რაიონების კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების კეთილდღეობა.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, როგორც ეს საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობაზე აღინიშნა, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში კვლავ არის სერიოზული ნაკლოვანებები. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცების, მათი ეკონომიკის ამაღლების, პროდუქციის ერთეულის წარმოებისათვის შრომის ხარჯვის შემცირების საკითხებზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავიანთ ცნობილ მიმართვაში სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი უაღრესად სერიოზული ამოცანები დააყენეს 1958 წელს გადასაწყვეტად.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა — კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მექანიზატორებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა თავიანთ საბრძოლო პროგრამად მიიღეს პარტიისა და მთავრობის მიმართვაში დასახული ამოცანები და იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი მათი წარმატებით განხორციელებისათვის.

დღეს თბილისში მოწვეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირი. ამ თათბირს დაესწრებიან საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორები, უხვი მოსავლის ოსტატები, საბჭოთა მეურნეობების წარჩინებული ადამიანები, მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაკები და სხვ. თათბირი შეაჯამებს 1957 წლის შედეგებს, დასახავს კონკრეტულ ღონისძიებებს 1958 სამეურნეო წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უფრო უხვი მოსავლის მისაღებად და მეცხოველეობის როგორც სულადობის ისე პროდუქტიულობის გასაადიდებლად.

ყველა რაიონმა, კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ და მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა ვადამდე პირნათლად უნდა შეასრულოს ღონისძიებანი, რომელსაც თათბირი დასახავს, და ადგილებზე ნაკისრი კონკრეტული ვალდებულებანი.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მარცვლეული და ტექნიკური კულტურების ნათესების გაფართოებას და მათი მოსავლიანობის გადიდებას. ყურადღების ცენტრში უნდა დავაყენოთ ჩაისა და თამბაქოს პლანტაციების, ციტრუსოვანთა ნარგავების, ვენახებისა და ხეხილის ბაღების მოვლა-პატრონობის გადაჭრით გაუმჯობესება.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დამთავრდა საანგარიშო-საარჩევნო კრებები. ამ კრებებზე გამომჟღავნდა საკოლმეურნეო წარმოებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები. ამოცანა ის არის, რომ ყური ვუგდოთ მასების ხმას, მათი საქმიანი შენიშვნების გათვალისწინებით დავსახოთ კონკრეტული, ქმედითი ღონისძიებანი კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციული და სამეურნეო განმტკიცებისათვის, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განუხრელად განხორციელებისათვის.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელები მაღალი პოლიტიკური და სამეურნეო აქტივობით ემზადებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, სულ უფრო და უფრო აფართოებენ არჩევნებისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებას, იღებენ გადიდებულ ვალდებულებებს. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკები ყველაფერს გააკეთებენ, რათა პირნათლად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი და მიმდინარე წელი გადააქციონ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი მძლავრი აღმავლობის წლად. ასეთია სოფლის მეურნეობის მუშაკთა უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების სრულიად საკავშირო კონფერენციას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების სრულიად საკავშირო კონფერენციას.

სსრ კავშირში საზღვარგარეთის სახელმწიფოების ხალხებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა შექმნა დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მას მხურვალედ დაუჭირეს მხარი საბჭოთა ხალხის უაღრესად ფართო ფენებმა.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებები მოწოდებული არიან განახორციელონ მსოფლიოს ყველა ხალხთან სსრ კავშირის ხალხების მეგობრობის, ურთიერთ გაგების, ნდობისა და კულტურული თანამშრომლობის განმტკიცების კეთილშობილური ამოცანები ისტორიის, ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერებისა და ყოფაცხოვრების ურთიერთ გაცნობის, ფართო საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენლთა შორის მჭიდრო კონტაქტების დამყარებისა და ხალხთა შემოქმედებითი მოღვაწეობის სხვადასხვა დარგში გამოცდილების გაზიარების გზით. საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების ეს საქმიანობა სავსებით შეეხამება საბჭოთა ხალხის მოსწრაფებებს ყველა სხვა სახელმწიფოსთან მშვიდობიანი თანაარსებობისადმი, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილებისა. იგი ემსახურება მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი უსურვებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კონფერენციას წარმატებებს მუშაობაში და გამოთქვამს რწმენას, რომ კონფერენციის გადაწყვეტილებანი ხელს შეუწყობენ დედამიწის ყველა ქვეყნის ხალხთან საბჭოთა ხალხის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებასა და განმტკიცებას და ამ ამოცანის განხორციელებაში ჩაებამენ საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო წრეებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მეგობრობა

◎ პარიზიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაცია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მარსელ კაშენის დაკრძალვაში.

◎ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსური ანტარქტიკული ექსპედიციის მონაწილენი 18 თებერვალს თბომავალ „პობედით“ ოდესაში ჩამოვიდნენ.

მეგობრობა სრულიად საკავშირო თათბირი

18 თებერვალს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, გაიხსნა მეგობრობა სრულიად საკავშირო თათბირი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში არიან ბამბის მთესველი რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სულ ორი ათასზე მეტი კაცი. თათბირის ბევრ მონაწილეს მკერდზე უბრწყინავს სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი, საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მედლები.

დილის ათი საათია. პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ შუა აზიის, ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და ყაზახეთის წარჩინებული მეგობრები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, საბჭოთა კავშირის მინისტრები, მეცნიერების მოღვაწეები. დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ამხანაგებს ა. ბ. არისტოვს, ნ. ა. ბულგანინს, კ. ე. ვოროშილოვს, ნ. გ. იგნატოვს, ა. ი. კირიჩენკოს, ფ. რ. კოზლოვს, ო. ვ. კუუსინენს, ა. ი. მიკოიანს, ნ. ა. მუხიტდინოვს, ე. ა. ფურცევას, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. მ. შვერნიკს, ა. ნ. კოსიგინს, მ. გ. პერვუხინს, რომლებიც პრეზიდიუმში შემოდიან.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ავღანეთის სოფლის მეურნეობის მუშაკები.

თათბირი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ მოგესალმოთ თქვენ, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, სომხეთის მინდვრის მუშაკებს, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით. (მქუხარე ტაში).

ნება მიბოძეთ აგრეთვე მივესალმო ჩვენს უცხოელ სტუმრებს, რომლებიც ამ თათბირზე ჩამოვიდნენ. (ტაში).

ამ დარბაზში შეკრებილი არიან ბამბის შესანიშნავი ოსტატები. ეს თათბირი ცხადყოფს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას, იგი ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებაა. (ტაში).

კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში ჩვენმა პარტიამ ბევრი გამარჯვება მოიპოვა. მაგრამ ყველაზე მთავარი ამ გამარჯვებებში უსაოუოდ ის არის, რომ პარტიამ, ასოციელებს რა ვ. ი. ლენინის ანდერძს, ერთიან, მძლავრ ოჯახად დარაზმა ჩვენი ქვეყნის ხალხები.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, აყვავდა შუა აზიისა და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები. მეტ წილ ამ რესპუბლიკებში რევოლუციამდე არ ყოფილა მრეწველობა, ხოლო სოფლის მეურნეობა უბადრუკ მდგომარეობაში იყო.

შეხედეთ ახლა შუა აზიის ან ამიერკავკასიის რესპუბლიკებს. აქ გაჩნდა პირველხარისხოვანი სოციალისტური მრეწველობა. აშენდა მრავალი ფაბრიკა, ქარხანა, ელექტროსადგური, გაჩნდა ახალი ქალაქები და სამრეწველო ცენტრები.

მაგალითისათვის ავიღოთ უზბეკეთი. იგი ახლა ჩვენს ქვეყანას აძლევს ლითონს, ქვანახშირს, მანქანებს, ქსოვილებს და ბევრ სხვა რამეს. იგივე შეიძლება ითქვას ყაზახეთზე, აზერბაიჯანზე, სომხეთზე, ყირგიზეთზე, ტაჯიკეთზე, თურქმენეთზე. მუშათა კლასს ღირსეული წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

თქვენ ჩინებულ შედეგებს მიაღწიეთ მეგობრობის განვითარებაში. 1913 წელს მეფის რუსეთში წარმოებული იყო 744 ათასი ტონა ბამბა. 1957 წელს საბჭოთა კავშირში მოყვანილ იქნა 4 მილიონ 355 ათასი ტონა ბამბა, ანუ თითქმის 6-ჯერ მეტი. (მქუხარე ტაში). მთელ საბჭოთა ხალხს უხარია ეს წარმატებანი და იმედი აქვს, რომ ეს წარმატებანი გამრავლდება.

ეკონომიკის მძლავრი აღმავლობის საფუძველზე იფურჩქნება მოძმე საბჭოთა ხალხების კულტურა. ყოველ რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა მეცნიერებათა აკადემიები, ათობით ინსტიტუტი, გამოიზარდა ინჟინერ-კოლმეურნეობის თავმჯდომარე; ზიბროვი — სოციალისტური შრომის გმირი, უზბეკეთის სსრ საბჭოთა მეურნეობა „ხაზარბაღის“ დირექტორი; ვორონინი — სოციალისტური შრომის გმირი, ტაჯიკეთის სსრ კუბინშევის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი; კულიკოვი — ყაზახეთის სსრ საბჭოთა მეურნეობა „პახტა-არალის“ დირექტორი.

ესენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნამდვილი დევგმირები არიან. ასეთი ადამიანები ბევრი გვყავს. ეს არის ჩვენი სახელმწიფოს სიმტკიცის წყარო. (მქუხარე ტაში).

განსაკუთრებით სასიამოვნოა აღვნიშნოთ ის, რომ მოწინავე მებამბეთა შორის ბევრია ქალი. მათ თავიანთი თავდადებული შრომით ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენს დიად საქმეში. პატივი და დიდება ჩვენს საბჭოთა ქალებს, დაუღალავ მშრომელებს! (მქუხარე ტაში).

ამხანაგებო! თქვენ ბევრი რამ გააკეთეთ. მაგრამ ძალიან ბევრი რამ კიდევ გასაკეთებელი გაქვთ.

ნება მიბოძეთ გავხსნა თათბირი, გისურვებთ, რომ უკეთ გაუზიაროთ ერთმანეთს გამოცდილება, საქმიანად განიხილოთ მებამბეობის შემდგომი განვითარების ამოცანები.

ჩვენი თათბირის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ბამბის ნათესიანობის და წარმოების გადიდების, სამეშოთა მექანიზაციის და ხელის შრომის დასაბოლოოს მაქსიმალურად შემცირების, ბამბის თვითღირებულების შემცირების საკითხები, იმის საკითხები, რომ მოსავლიანობის მხრივ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები ავიყვანოთ მოწინავეთა დონემდე, აგრეთვე სხვა საკითხები.

ბამბის წარმოების გადიდება ისევე როგორც მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდება ხელს შეუწყობს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, ჩვენი ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას. (მქუხარე ტაში).

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი უზბეკურ ენაზე ამბობს:

„სალომ ურტაკლარ!“ („მოგესალმებით, ამხანაგებო!“).

„იაშასინ პახტაკორლარ!“ („გაუმარჯოს მებამბეებს!“).

(ამ მისასალმებელ სიტყვებს თათბირის მონაწილენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან).

★ ★ ★

თათბირის დღის წესრიგშია მებამბეობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების საკითხი. მოხსენებები გააკეთეს უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. კამალოვმა, ტაჯიკეთისამ — ტ. ულჯაბაევმა, თურქმენეთისამ — ს. ბაბაევმა, აზერბაიჯანისამ — ი. დ. მუსტაფაევმა, ყირგიზეთისამ — ი. რ. რაზაკოვმა, ყაზახეთის კომპარტიის სამხრეთ ყაზახეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. იუსუპოვმა, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ე. ქოჩინიანმა.

მომხსენებლებმა ილაპარაკეს უდიდეს წარმატებებზე, რომლებიც მოიპოვეს შუა აზიის, ამიერკავკასიის ბამბის მთესველი რესპუბლიკების, ყაზახეთის მშრომელებმა, გეგმებზე, რომლებსაც სახავენ ყველა რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომელნიც ითვალისწინებენ მებამბეობის შემდგომ აღმავლობას. მომხსენებლებმა აგრეთვე აღნიშნეს ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლიან მებამბეობის შემდგომ განვითარებას.

კამათში გამოვიდნენ სამგზის სოციალისტური შრომის გმირი, ტაშკენტის ოლქის კოლმეურნეობა „შარკ-იულდუზის“ თავმჯდომარე ხ. ტურსუნკულოვი, შუა აზიის მანქანათამოსაცდელი სადგურის მექანიკოსი ვ. ტიუპკო, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ტაჯიკეთის სსრ კოლმეურნეობა „მოსკოვის“ თავმჯდომარე მ. ს. ურუნხოჯაევი, ბამბის სელექციონერი ვ. კრასიჩკოვი, აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ბარდის რაიკომის პირველი მდივანი ხ. აღაევი და სხვები.

კრემლის დიდ სასახლეში 19 თებერვალს გრძელდებოდა კამათი მოხსენებათა გამო მებამბეობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების შესახებ.

თათბირის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ა. ბ. არისტოვს, ნ. ა. ბულგანინს, კ. ე. ვოროშილოვს, ნ. გ. იგნატოვს, ა. ი. კირიჩენკოს, ფ. რ. კოზლოვს, ო. ვ. კუუსინენს, ა. ი. მიკოიანს, ნ. ა. მუხიტდინოვს, მ. ა. სუსლოვს, ე. ა. ფურცევას, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. მ. შვერნიკს, ა. ნ. კოსიგინს, მ. გ. პერვუხინს, როცა ისინი პრეზიდიუმში შემოვიდნენ.

თათბირის ბევრმა მონაწილემ აღნიშნა თავის სიტყვაში, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა, რამაც უზრუნველყო ბამბის მოსავლიანობის ზრდა და მისი საერთო მოსავლის გადიდება, იყო პროგრესული აგროტექნიკის ფართოდ დანერგვა. უმნიშვნელოვანესი როლი შესასრულეს მცენარის დაცვიწროებული მწკრივთაშორისებით და კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვამ. ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ წელს საჭიროა რაც შეიძლება ფართოდ გამოვიყენოთ ბამბის მოყვანის ეს მოწინავე წესი.

თათბირის მონაწილენი თავიანთ სიტყვებში ხაზგასმით აღნიშნავდნენ მებამბეობის სსრ საბჭოთა მეურნეობების დიდმნიშვნელოვან როლს უფრო იაფი ნედლი ბამბის წარმოებაში მექანიზაციის მაღალი დონის, მოწინავე აგროტექნიკის გამოყენების, შრომის სწორი ორგანიზაციისა და ანაზღაურების მეოხებით.

თათბირზე დიდი ყურადღება მიექცა მებამბეობის რესპუბლიკებში წყალთა მეურნეობის გაუმჯობესების საკითხებს.

კამათში გამოსული კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები აკრიტიკებდნენ მიწათმოქმედებისა და საბჭოთა ორგანოების მუშაობას, შეჩქონდათ წინადადებანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აღმოიფხვრას ეს ნაკლოვანებანი.

თათბირში მონაწილეობა მიიღეს ავღანეთის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, ბირმის კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაციებმა. საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენლებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ მათ შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ მებამბეთა სრულიად საკავშირო თათბირში და ერთმანეთს გაუზიარონ მუშაობის გამოცდილება.

ორი დღის განმავლობაში თათბირზე გამოვიდა 40 კაცი.

19 თებერვალს საღამოს სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც თათბირის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

თათბირმა ერთხმად მიიღო კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაათა, სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის სპეციალისტთა ვალდებულებანი უზბეკეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და სომხეთის მოკავშირე რესპუბლიკებში მებამბეობის შემდგომი განვითარებისათვის.

მებამბეთა სრულიად საკავშირო თათბირმა მუშაობა დაამთავრა. (საკდესი).

ახალი ქართული მანქანები სოფლის მეურნეობას

საქართველოს მრავალდარგოვანი, აღორძინების ნათელ გზაზე მდგომი სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, რომლებიც თვიანთ რესპუბლიკურ თათბირზე შეიკრიბებიან ღირსსახსოვარი ისტორიული თარიღის — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 37-ე წლისთავის ამ წინადღეებში, მთავრობის სახლის შადრევნებიან მოასფალტებულ ეზოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ბევრ ახალ მანქანას, მექანიზმს, სხვადასხვა აპარატებს ნახავენ.

მთელი ეს ახალი ტექნიკა ადამიანის შემოქმედების, მისი გონებამახვილობის უახლესი პროდუქტია, ახალი სიტყვაა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაში. ამ გამოფენაზე გამოტანილი არც ერთი ექსპონატი სხვა ქვეყნიდან არ არის ჩამოტანილი. ყველა აქვე, საქართველოს გულში — თბილისში, არის შექმნილი, დაპროექტებული და გაკეთებული. ყველა ეს მანქანა და მექანიზმი, ყველა ეს აპარატი შექმნილი და დაბადებულია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და სამთო მიწათმოქმედების მანქანების სახელმწიფო სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროს ლაბორატორიებში, ყველა მანქანას თბილისური მარკა ამშვენებს.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა საბჭოთა კავშირში, კერძოდ, საქართველოში მანქანა-დანადგარები იმ დროს ტექნიკურად ჩვენზე მეტად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებიდან შემოგვქონდა. ახლა, პირიქით, საბჭოთა ქვეყანა არა ერთი ტექნიკური სიახლით აკვირვებს კაპიტალისტურ სამყაროს.

* * *

აი გამოფენაზე დგას ტრაქტორის შორეული მსგავსების ოთხთვლიანი მანქანა. ეს სამთო ტიპის ტრაქტორია. მას კონსტრუქტორებმა თვითმავალი შასი უწოდეს და საშიფრო ნიშნები გაუკეთეს — „სშ-24გ“. ქართულად ეს ნიშნავს — თვითმავალი შასი, 24 ცხენის ძალისა, სამთო.

ეს თვითმავალი შასი, რომელიც სამთო მიწათმოქმედების ტექნიკის უაღრესად საყურადღებო სიახლეა, უნივერსალურ მანქანას წარმოადგენს. მას შეიძლება მოვარგოთ სხვადასხვა საკიდი აპარატი, მანქანა, ხელსაწყო და სათანადოდ აღჭურვილი ეს სამთო ტრაქტორი გამოვიყენოთ მაღალეროიანი კულტურების (სიმინდი, თამბაქო, მზესუმზირა, ბამბა, ჩაი, ვაზი და ა. შ.) დასამუშავებლად. თუ მას სათანადო აპარატს მოვარგებთ, ამ ტრაქტორით შევძლებთ ჩაის ფოთლის მოკრეფას, ჩაის ბუჩქის გასხვლას, რიგთა შორის ნიადაგის ღრმად გაფხვიერებას, ნიადაგში სასუქის შეტანას.

შარშან ეს მანქანა გამოსაცდელად წაიღეს ყირიმში ბახჩისარაის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობაში. ამ მეურნეობაში ფართოდ არის განვითარებული ლავანდის კულტურა, (ეთერზეთოვანი, ყვავილოვანი მცენარეა), რომლის აღება მეტად შრომატევადია. მეურნეობაში სცადეს ამ კულტურის აღება ტრაქტორზე მორგებული სპეციალური აპარატით, რომელიც აგრეთვე ჩვენს რესპუბლიკაშია შექმნილი, შემდეგ იგივე სამთო ტრაქტორი ანუ თვითმავალი შასი გამოცდილ იქნა ტამანის გერანის საბჭოთა მეურნეობაში გერანის აღებაზე, რისთვისაც მანქანას მოარგეს თბილისშივე დამზადებული გერანასაღები აპარატი. ორივე ცდამ საუკეთესო შედეგი გამოიღო. ბახჩისარაის საბჭოთა მეურნეობაში მანქანა გამოყენებულ იქნა აგრეთვე ლავანდის პლანტაციაში რიგთა შორის კულტივაციისათვის, სპეციალური კულტივატორით.

ახლა ჩვენი კონსტრუქტორები მუშაობენ ისეთი აპარატების შესაქმნელად, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება მარცვლოვანი, პარკოსანი და ბოსტნეული კულტურების სათესად და ასაღებად როგორც ვაკე, ისე ფერდობ ადგილებზე.

ვინ არ იცის, რა შრომატევადი დარგია სოფლის მეურნეობაში მევენახეობა. ვაზი ფაქიზი მცენარეა. მაშასადამე, ვენახში სამუშაოდ საჭიროა სხვადასხვა შრომითი პროცესების მოქნილად შემხრულებელი მანქანა. ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და სამთო მიწათმოქმედების მანქანების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ნიადაგდამმუშავებელი მანქანების ლაბორატორიის უფროსმა ინჟინერმა ნ. კეზელმა მოგვითხრა:

—ჩვენი ლაბორატორიის კოლექტივმა, შექმნა სამთო პირობებში, აგრეთვე ვაკე ადგილებზე გამოსაყენებელი მანქანა — 16 ცხენძალის თვითმავალი შასი, რომელიც შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ როგორც ჩაის პლანტაციებში, ისე სამთო მიწათმოქმედებაში, კერძოდ, მევენახეობაში. ამ მანქანის საგენახედ მოდიფიცირებული სახეობის ეგზემპლარი, რომელსაც ყოველი ცალკე შემთხვევისათვის მოვარგებდით ხოლმე სპეციალურ აპარატს, გამოვიყენეთ ვენახში რიგთა შორის სახნავად, კულტივაციისათვის, ვაზის შეწამვლისათვის, ნიადაგის გაფხვიერებისათვის, ჭიგოების დასობისათვის და მთელი რიგი სამუშაო პროცესებისათვის. მანქანის იარაღებს აქვს ე. წ. „მგრძნობიარე“ ხელსაწყოები, რომლებიც შეეხებიან თუ არა ვაზის ძირს, იმ წამსვე მანქანის იარაღს (სახნისის პირს, ან სხვა რამ ვაზის დამზიანებელ ნაწილს) ავტომატურად შეატრიალებენ იმდენად, რომ ვაზს აცდინონ.

ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაციის განხორციელება იმთავითვე შეუძლებელ ამოცანად იყო აღიარებული. არანაკლებ ძნელ ამოცანად იყო მიჩნეული მოკრეფილი ჩაის მწვანე ფოთლის დახარისხების მექანიზაცია. ჩვენმა კონსტრუქტორებმა ორივე ეს ამოცანა გადაწყვიტეს. გადაწყვიტეს ისეთი მაღალი ოსტატობით, გონებამახვილობით, რომ ახლა არავინ აღარ ლაპარაკობს ჩაის ფოთლის კრეფისა და დახარისხების მექანიზაციის შეუძლებლობის შესახებ. თბილისში შექმნილმა ჩაის ფოთლის საკრეფმა მანქანამ და მასზე მორგებულმა აპარატმა საუკეთესოდ ჩაბარეს გამოცდა და სახელმწიფო კომისიის მიერ უკვე მიღებული არიან სერიული გამოშვებისათვის.

ჩვენს მეჩაიე კოლმეურნეობებში ფართო პოპულარობა მოიპოვეს საქართველოში შექმნილმა სამთვლიანმა სამთო ტრაქტორებმა „ჩგ-1,6“. ერთ-ერთი ასეთი მოდიფიცირებული ტრაქტორი გამოტანილია მთავრობის სახლის ეზოში.

* * *

ვინ არიან ჩაის ფოთლის საკრეფი, ვენახის დასამუშავებელი, ციტრუსოვანთა საფუმიგაციო, თამბაქოს ფოთლის ასანემსავი, თამბაქოს საჭრელი, ჩაის ფოთლის დამხარისხებელი - აპარატების, მანქანების, მექანიზმების შემქმნელები? თუ ამას იკითხავთ სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში პასუხი ერთი იქნება:

— ჩვენი ბიუროს მთელი კოლექტივი! შეიძლება ამ პასუხს ჩვენის მხრივ დავუმატოთ ის, რომ კონსტრუქტორების, ინჟინერ-მექანიკოსების, მხაზავების, ექსპერიმენტატორი მუშების ამ კოლექტივს ხელმძღვანელობენ ინჟინერ-მექანიკოსი ლ. ქურდოვანიძე (ბიუროს უფროსი), მთავარი ინჟინერი ვ. მანველიძე, პარტბიუროს მდივანი ინჟინერ-მექანიკოსი ვ. ჭელიძე, ადგილობრივი პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარე ინჟინერ-კონსტრუქტორი მ. შანიძე.

დ. ლომთაძე.









ს ურ ა თ ებ ზ ე (მარცხნიდან მარჯვნივ): ტრაქტორზე მორგებული ჩაის საკრეფი აპარატი; სამთო სამთვლიანი ტრაქტორი ვენახში, რიგთა შორის დამუშავებისას; სამთო ოთხთვლიანი ტრაქტორი; ლავანდის აღება ოთხთვლიანი სამთო ტრაქტორით.

ვიბრძოლოთ სოფლის მეურნეობის ყველა

* * *

კიდევ უფრო ვამრავლოთ წარმატებანი

ბათუმის რაიონის მშრომელებმა ახალი შრომითი საჩუქრები მიუძღვნეს საყვარელ სამშობლოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძეირმოცე წლისთავზე, წარმატებით დაამთავრეს გასული სამეურნეო წელი.

შარშან რაიონში მნიშვნელოვნად ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე. გადიდდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი უკრაინის სსრ ბელოზერკის რაიონის მშრომელებთან სოციალისტურმა შეჯიბრებამ.

ძვირფასი ტექნიკური და მრავალწლიანი კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების შედეგად შესამჩნევად განმტკიცდა ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა, გაიზარდა მათი ნატურალური და ფულადი შემოსავალი. რაიონში შრომადღეზე საშუალოდ გაიცემა 18 მანეთზე მეტი. წინსვლის ტელმანის, ჩაისუბნის სტალინის, ახალშენის კალინინის, სარფის ორჯონიკიძის სახელობის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში თვითეულ შრომადღეზე 30-37 მანეთს გასცემენ.

საკოლმეურნეო სოფელში ცოტა როდია ისეთი ოჯახები, რომლებიც შრომადღეებზე დიდ ანაზღაურებას იღებენ და შეძლებულად ცხოვრობენ. მაგალითად, ჩაისუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრის იუსუფ ძნელაძის ოჯახი, რომელმაც შარშან 1.423 შრომადღე გამოიმუშავა, მიიღებს 42.630 მანეთს, აგრეთვე დიდი რაოდენობით პრემიაწანამატს. ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრის ახმედ ჯორძაიას ოჯახი შარშან გამომუშაებულ 862 შრომადღეზე მიიღებს 31 ათას მანეთს და 3.466 კილოგრამ მარცვლეულს.

რაიონის სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში ჩაის კულტურას წამყვანი ადგილი უჭირავს. შარშან პლანტაციებში ყველა სამუშაოს აგროტექნიკურ ვადებში შესრულებით მიღებულ იქნა ჩაის ფოთლის უხვი მოსავალი. მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 5.813 ტონა ჩაის ფოთოლი, გეგმა კი 5.309 ტონას ითვალისწინებდა. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 4.913 კილოგრამი ნედლეული, რაც 627 კილოგრამით აღემატება 1956 წლის მაჩვენებელს.

მიღწევები ჩაის დარგში მეტი იქნებოდა, რაიონის ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მაქსიმალურად რომ იყენებდეს მოსავლიანობის გადიდების რეზერვებს. ზოგან ცუდად უვლიან პლანტაციებს და არღვევენ ჩაის ფოთლის კრეფის წესებს. მაგალითად, შარშან ცუდად იმუშავა სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა, რომელმაც ტონობით ფოთოლი დააკლო სახელმწიფოს. ასევე ითქმის ერგეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაზე, რომელმაც მეზობელ ხელვაჩაურის კოლმეურნეობასთან შედარებით ჰექტარზე, ერთნაირ პირობებში 932 კილოგრამით ნაკლები ნედლეული მიიღო.

რაიონის მეჩაიეები წელს სერიოზული ამოცანების წინაშე დგანან. ნაკისრი ვალდებულებით მათ უნდა მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 6 მილიონი კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

უხვი მოსავლის მისაღებად პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. ამჟამად მიმდინარეობს პლანტაციების გადაბარვა, ნიადაგში სასუქების შეტანა, სადრენაჟო არხების გაწმენდა და სხვა.

რაიონის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია მეციტრუსეობა. ციტრუსებს რაიონში 3 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს. 13 კოლმეურნეობაში მოწყობილია სანერგე მეურნეობა, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს რაიონის მოთხოვნილებას. შარშან ნარგავების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებით დიდი გადაჭარბებით შეასრულეთ მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის დამზადების გეგმები.

ამ მიღწევებთან ერთად ციტრუსოვანთა მეურნეობაში ნაკლოვანებებიც გვაქვს. ზოგან ცუდი მოვლა-პატრონობის შედეგად ნარგავები დაკნინებულია და მოსავალს არ იძლევა. ასეა მაგალითად, ერგეს, ჩაისუბნის, თხილნარის კოლმეურნეობებში.

თვალსაჩინო მიღწევები მოვიპოვეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში. გაიზარდა პირუტყვის სულადობა, გაუმჯობესდა მისი ჯიშობრივი შემადგენლობა, ამაღლდა პროდუქტიულობა. შარშან თვითეულ საფურაქე ძროხაზე მივიღეთ 2.100 კილოგრამი რძე, გეგმა კი 1.730 კილოგრამს ითვალისწინებდა. უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ ცალკეულ კოლმეურნეობებსა და მწველავებს. მახინჯაურის ჯინჭარაძის სახელობის კოლმეურნეობამ თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღო 3.472 კილოგრამი რძე, რაც 818 კილოგრამით აღემატება 1956 წლის მაჩვენებელს. ეს კოლმეურნეობა მთელი გასული წლის განმავლობაში ფლობდა და ამჟამადაც მტკიცედ ინარჩუნებს პარტიის ბათუმის რაიკომის და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალ წითელ დროშას მეცხოველეობაში მოპოვებული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის. კარგი შედეგები მოიპოვა მეცხოველეობაში მეჯინისწყლის კოლმეურნეობამ, რომელმაც პროდუქციის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად შეამცირა დანახარჯები სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაზე.

მიმდინარე წელს ნაკისრი ვალდებულებებით საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე უნდა მივიღოთ 2.150 კილოგრამი რძე, თვითეულ დედა ღორზე — 16 გოჭი, ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე ვაწარმოებთ 20 ცენტნერ ღორის ხორცს, საკვები ბაზის შექმნის მიზნით ერთწლიან ბალახებს დავთესავთ 150 ჰექტარზე, ჩავდებთ 8.000 ტონა სილოსს.

ყველა წარმატება, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, მიღწეულია პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სამეურნეო საქმიანობასთან უნარიანი შეხამებით. პირველადი პარტიული ორგანიზაციები უნარიანად ხელმძღვანელობენ საქმიანობას, რაზმავენ კომუნისტებსა და მთელ მასებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელებისათვის.

განსაკუთრებით კარგად დააყენეს პარტიული მუშაობა მეჯინისწყლის (მდივანი რ. ჩაკლეიშვილი), ურეხის (მდივანი ა. საფარიძე), ახალსოფლის (მდივანი ო. ფეკვაძე) საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციებმა. წარმატებები კიდევ მეტი იქნება, თუ ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაცია კარგად იმუშავებს.

წელს ჩვენი რაიონის წინაშე სერიოზული ამოცანები დგას. პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მთელი მასები უნდა დარაზმონ იმისათვის, რომ კიდევ უფრო ამრავლონ წარმატებანი სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის საქმეში.

ს. ესაძე.

საქართველოს კომპარტიის ბათუმის რაიკომის პირველი მდივანი.

სურათზე: ვენახის მწკრივთა შორის ხვნა გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

* * *

ცხრაასი ათასი მანეთი — მნარე ვაზის ღერწიდან

გურჯაანი. (საკ. კორ.). ვაზისუბნის კოლმეურნეობას ვენახების ფართობის მხრივ მთელ კახეთში პირველი ადგილი უჭირავს. მაგრამ ზვრებმა უკვე სამას ჰექტარს გადაამეტა. წელს 23 ჰექტარი ახალი ვენახი უნდა გაშენონ. ფაქტიურად კი 40 ჰექტარის გაშენება იკისრეს.

ვაზისუბნელებს ფილოქსერაგამძლე ვაზის კარგი მეურნეობა აქვთ. კეთილმოწყობილია სათბურებიც. აქ ასეულ ათასობით ნამყენი ვაზი გამომყავთ. მწარე ვაზი გაშენებული აქვთ 17 ჰექტარზე. ბრიგადა, რომელსაც კოლმეურნეი. დარიბაშვილი ხელმძღვანელობს, მზრუნველობას არ აკლებს ხადედე ვაზს.

ვაზისუბნელებმა ფილოქსერაგამძლე ვაზის ლერწი თავიანთთვის საკმარისი რაოდენობით დაიტოვეს და დიდი რაოდენობით მისცეს გურჯაანისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებსაც. ამით 900.000 მანეთამდე შემოსავალი მიიღეს.

მთაშიც იბრძვიან ჯიშიანი ღორების მოშენებისათვის

ზოგიერთი კოლმეურნე ფიქრობდა, ჯიშიანი ღორები სვანეთის სუსხიან ჰავას ვერ გაუძლებენო. მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ გაუმჯობესებული ჯიშის ღორები კარგი მოვლის დროს მთის ჰავასაც ადვილად ეგუებიან. მესტიის რაიონში სოფელი კალა ყველაზე მაღალმთიანია, ჰავაც უფრო ცივია. ამ სოფლის კოლმეურნეობის გამგეობამ განიზრახა ჯიშიანი ღორების მოშენება. 1956 წლის შემოდგომაზე შეიძინეს 4 დედაღორი. მომვლელად გამოყვეს გ. ისაევა. ზოოვეტერინარული წესების ზუსტად დაცვით პირველ წელსვე მიაღწიეს ღორების სამჯერ დაგოჭიანებას. შარშან 4 დედაღორიდან 72 გოჭი მიიღეს.

მესტიის რაიონში კარტოფილი უხვად მოჰყავთ, მაგრამ მისი სარეალიზაციოდ გაზიდვა ჭირს და მეტწილად ფუჭდება. მეცხოველეობის პროდუქტების ნარჩენები, რაც აქ უხვად არის, აგრეთვე რკო და ტყის ხილი, უმეტესად გამოუყენებელია, ღორებისათვის კი ეს პროდუქტები საუკეთესო საკვებია. რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები, რომლებსაც ჯიშიანი ღორების მოშენების რეალური შესაძლებლობა აქვთ, ამ საქმით დღემდე არ დაინტერესებულან.

გ. ნოდია,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

რა აწუხებთ გორელ მეხილეებს

მეხილეობას ჩვენს კოლმეურნეობაში წამყვანი ადგილი უჭირავს. ხეხილის ბაღების ფართობი 384 ჰექტარს შეადგენს, აქედან მსხმოიარეა 171,23 ჰექტარი. უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობა ყოველწლიურად აპრუნებს ხილის მოსავლიანობის გეგმებს. განსაკუთრებით მაღალი მოსავალი იქნა მიღებული შარშან. თვითეულ ჰექტარზე მოვკრიფეთ 123,64 ცენტნერი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 63 ცენტნერისა. მარტო შარშან კოლმეურნეობას ხილმა 8 მილიონი მანეთი შემოსავალი მისცა, რაც მთელი ფულადი შემოსავლის 78 პროცენტს შეადგენს.

რაიონში ხეხილის ბაღებს ჯერ კიდევ არა აქვთ ისეთი მოვლა-პატრონობა, როგორიც მათ შეეფერის. ბაღები ძირითადად ისევე ძველებური წესით — ხელით მუშავდება, რადგან რაიონში არსებულ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს არ გააჩნიათ საჭირო მექანიზმები. მაგალითად, შარშან ჩვენს კოლმეურნეობაში ბაღები ძირითადად გამწევი ძალის გუთნებით მოვხანით.

როგორც წესი, ხეხილის ბაღების გასაშენებლად ფართობი უნდა იხვნებოდეს 70 სანტიმეტრ სიღრმეზე დიდი გუთნით, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ კეთდება, რადგან გორის, ტყვიავისა და ახალსოფლის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს არა აქვთ საჭირო ტექნიკა. რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობაში ხელით იღებენ ნერგის დასარგავ ორმოებს. რატომ არ უნდა იყვნენ ჩვენი მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ამ სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მანქანებით უზრუნველყოფილნი?

მეხილეობის კოლმეურნეობები მინერალური სასუქებისა და შხამმასალების ნაკლებობასაც განიცდიან. „საქსოფლმომარაგებას“ გორში აქვს ხეხილის ბაღების წამლობისათვის მინერალური ზეთების დამამზადებელი საამქრო, მაგრამ იგი ხშირად არ მუშაობს და კოლმეურნეობებს არ აწვდის საჭირო პრეპარატებს.

შაბიამნის ნაკლებობის გამო ასევე უძნელდებათ მეხილეებს კირისა და შაბიამნის კომბინირებული ხსნარით ბაღების წამლობა.

გორელ მეხილე კოლმეურნეებს აგრეთვე აწუხებთ ის, რომ დღემდე დადგენილი არ არის, თუ რა საშუალებებით იბრძოლონ მერქნის მღრღნელი ჭიის წინააღმდეგ. კოლმეურნეობები და კოლმეურნეები ცუდად მარაგდებიან გოგირდითა და მისი შესაფრქვევი აპარატურით ტკიპის წინააღმდეგ საბრძოლველად.

კოლმეურნეობები არასაკმაოდ იღებენ ბაღების გასაშენებლად ნერგს. დროა ამ საქმის მოსაგვარებლად იზრუნოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და გორის რაიონში მოაწყოს ერთი მსხვილი სანერგე მეურნეობა.

მ. ჯაშაშვილი,

გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ თავმჯდომარე.

მეტი ჩაი სამშობლოს

ჩაი შრომატევადი კულტურაა. გასულ წელს ზაფხულის გვალვებმა ნაწილობრივ ხელი შეუშალა ფოთლის ნორმალურ ზრდა-განვითარებას. ამასთან ბევრ ადგილას დანერგილი არ იყო გახუწყვეტელი კრეფა, რის გამო ფოთოლი გაუხეშდა, დანაკარგები გაიზარდა.

გალის რაიონს ყველა შესაძლებლობა აქვს წარმატებით გაართვას თავი ჩაის სამუშაოებს, ამით საფუძველი ჩაუყაროს მომდინარე წლის უხვ მოსავალს. უმრავლეს კოლმეურნეობებში პლანტაციების ფართობების 80-90 პროცენტის მორწყვა შეიძლება მდინარე ენგურიდან გადმოყვანილი წყლის საშუალებით, მაგრამ, სამწუხაროდ, რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები დღემდე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს.

გასული წლის ხანგრძლივი გვალვის პირობებში პრაქტიკული გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ მორწყვა დიდ შედეგს იძლევა. ჩაის პლანტაციის ნაწილი მოვრწყეთ. ამ ფართობზე სისტემატურად ვაწარმოებდით კრეფას და მეურნეობის მუშები მ. შკურინა, ა. ხარატიანი, ა. ფერხუდინოვა, ი. ლოლაძე დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ. მოურწყავ ფართობებში კი საკრეფი ჩაი ძალიან მცირე იყო.

წელს საჭიროა რაიონის ხელმძღვანელობამ აუცილებლად გაითვალისწინოს გვალვის პირობებში მორწყვის საკითხი. ეს დიდ ხარჯებს არ მოითხოვს, და მოსავალს კი 25-30 პროცენტით გაზრდის.

ი. ლაგვილავა,

სიდის ჩაის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი, ლენინის ორდენოსანი.

გრეთის გაღებში

მართლაც, რომ კარგი სანახავი იყო გასულ შემოდგომაზე ქარელის რაიონის გრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ხეხილის ბაღი, სადაც მსხმოიარე ნარგავებს 558 ჰექტარი ფართობი უჭირავს. ბაღის სანიმუშო მოვლა-პატრონობით გრეთელმა მეხილეებმა უხვი მოსავალი მიიღეს და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 8.855 ტონა მალალხარისხოვანი ხილი ჩააბარეს.

ხილის უხვი მოსავლის მიღებით განსაკუთრებით ისახელა თავი იმ აგროუბანმა, რომელსაც დ. მუმლაძე ხელმძღვანელობს. ამ აგროუბნის კოლექტივმა მოსავლელად მიჩენილი 112 ჰექტარი ხეხილის ბაღის თვითეულ ჰექტარზე 151 ცენტნერი ხილი მიიღო, გეგმა კი 60 ცენტნერს ითვალისწინებდა.

დ. მუმლაძის აგროუბანი წარმატებას იმით აღწევს, რომ აქ ყველა დაუფლებულია ხეხილის მოვლის აგროტექნიკას. აგროუბანი მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლას ხილის მოკრეფისთანავე იწყებს.

— ჩვენს აგროუბანში, — თქვა დ. მუმლაძემ, — გაშენებულია თესლოვანი ხეხილის საუკეთესო ჯიშები — ზამთრის ოქროს პარმენი, შამპანური რენეტი, ბანანი, ბელფლორი. ხარის სინაპი და სხვა ძვირფასი ჯიშები. პირველად მოკრეფილი საუკეთესო ხარისხის ხილი მეურნეობამ დიდი რაოდენობით გაუგზავნა მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის მშრომელებს. დიდძალი ხილი გაიგზავნა აგრეთვე ფინეთში.

იბრძვიან რა პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, გრეთელი მეხილეები ყველა რეზერვს ხილის უფრო მაღალი მოსავლის მოყვანისათვის, ბაღის ფართობის გადიდებისათვის. ამ მხრივ წელს უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები. გასულ შემოდგომაზე 440 ჰექტარზე უკვე ჩატარდა ხეხილის მწკრივთაშორის ხვნა. წარმოებს მცენარეების გასხვლა და ძირების შეფხეკა. მთელ ფართობზე შეტანილია მინერალური და ორგანული სასუქები. 230 ჰექტარზე ჩატარებულია საშემოდგომო მორწყვა, 100 ჰექტარ ფართობზე გაშენდა ახალი ბაღი.

გრეთელი მეხილეები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ წელსაც უხვი მოსავალი მოიყვანონ.

ვ. გურგენიძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მოწინავეთა გამოცდილება მასებს!

ხორბლის მაღალი მოსავლისათვის

ხოფელ წილკნის (მცხეთის რაიონი) კოლმეურნეობამ გასულ წელს საშუალოდ ჰექტარზე 29 ცენტნერი მარცვლეული მოიყვანა. კარგი იყო ხორბლის მოსავალიც. 350 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 20,8 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13 და ვალდებულებით ნაკისრი 16 ცენტნერისა.

კოლმეურნეობაში საშემოდგომო ხორბლის ყველაზე უხვი მოსავალი მიიღო მემინდვრეობის მესამე ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. ბრიგადამ 92 ჰექტარი საშემოდგომო ხორბლის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 24,49 ცენტნერი მოიყვანა.

რით ვაღწევთ საშემოდგომო ხორბლის უხვი მოსავლის მიღებას?

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ სათესლე მასალის მომზადებას. სათესლე ნაკვეთიდან ცალკე ვიღებთ მოსავალს და აღებისთანავე ვწმენდთ სათესლე მასალას, კონდიციამდე აგვაყვანს იგი. კოლმეურნეობაში ვთესავთ საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგურის მიერ გამოყვანილი ხორბლის უხვმოსავლიან ჯიშებს „მოწინავეს“, „გამარჯვებას“, „ალბი 8“-ს.

საშემოდგომო ხორბლის დასათესად ნიადაგს ვამზადებთ წინამორბედების გათვალისწინებით. მაგალითად, თუ ვთესავთ ნაწვერალზე, მაშინ საშემოდგომოდ ნიადაგს ვხნავთ 22-25 სანტიმეტრ სიღრმეზე, ხოლო ნასიმინდარზე — 20-22 სანტიმეტრზე. ხვნის წინ ნიადაგში შეგვაქვს მინერალური სასუქები ასეთი დოზით: აზოტი 80-90 კილოგრამი, ფოსფორი — 90-100 კილოგრამი და კალიუმი 40 კილოგრამი. ნიადაგის კარგად გაფხვიერების მიზნით თესვის წინ ნაკვეთებს ვფარცხავთ თეფშებიანი ფარცხით.

თესვას ვიწყებთ 10 სექტემბრიდან და ვამთავრებთ 25 ოქტომბრამდე. მთელ ფართობს ვიწრო მწკრივებად ვთესავთ 7-8 სანტიმეტრ სიღრმეზე. თესვის დამთავრებისთანავე ვიწყებთ საშემოდგომო ხორბლის ნათესების რწყვას. პირველ რიგში ვრწყავთ ნაწვერალზე დათესილ ფართობებს, შემდეგ ნასიმინდარზე ნათესს.



ვ. სიმონიშვილი

* * *

ადრე გაზაფხულზე, ნიადაგის შეშრობისთანავე, ჯეჯილებს ვაზიგზაგებთ მჩატე ფარცხებით. ამასთანავე მთელ ფართობზე ვატარებთ ჯეჯილის გამოკვებას მინერალური სასუქებით (აზოტით და ფოსფორით). საპირიოების მიხედვით უანს ვმარგლავთ. მაისსა და ივნისში ნათესებს ვრწყავთ.

კოლმეურნეობაში ივნისიდან ვიწყებთ პურეულის მოსავლის აღებისათვის მზადებას მოსავალს 10-15 სამუშაო დღეში ვიღებთ.

მარცვლეულის წარმოების გადიდებამ საშუალება მოგვცა გაგვეზარდა კოლმეურნეობაში შრომადღის ხვედრი, შეგვეძლო მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზა. წელს შრომადღეზე გაიცა 8.5 კილოგრამი ხორბალი და 4 კილოგრამი სიმინდი. მარტო ჩემმა ბრიგადამ მაღალი მოსავლის მიღებისათვის პრემიის სახით მიიღო 32 ტონა ხორბალი.

წელს ბრიგადას 100 ჰექტარზე უთესია შემოდგომის ხორბალი. ვიბრძვით იმისათვის, რომ 1958 წელს საშუალოდ ჰექტარზე 26 ცენტნერი პური მოვიყვანოთ.

ვ. სიმონიშვილი,

მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის კოლმეურნეობის მემინდვრეობის მესამე ბრიგადის ხელმძღვანელი.

ვაზი იპყრობს ახალ ფართობებს

ერთმა ანანურელმა კოლმეურნემ შარშან არაგვის მარცხენა ნაპირზე მდებარე ტყესთან რამდენიმე ძირი ვაზი მაჩვენა. არაგვი იცის, საიდან გაჩნდა აქ რქაწითელი, რომელიც დროთა გითარებაში ახოვან ხეებს შემოხვეულა, და მაღლარად ქცეულა.

შესაძლოა, აქ ერთ დროს ზვრებიც კი იყო, რადგან აქ ამ რამდენიმე წლის წინათ იპოვნეს ძველებური ქვევრებისა და საწნახლების ნაშთი.

პატარა კახეთი — ასე უწოდებდნენ თურმე ძველათ არაგვის ხეობის მონაკვეთს ცხვეთიდან ანანურამდე. ათასობით კოკა საუკეთესო ღვინოს აყენებდნენ ჭოპორტელი, ბულაჩაურელი და არაგვისპირელი გლეხები. ვაზი ძველთაგანვე ხარობდა დუშეთის რაიონის სხვა სოფლებშიც, მაგრამ გასული საუკუნის ბოლოს ფილოქსერას დაუზიანებია იგი. ხოლო პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, და განსაკუთრებით მენშევიკების ბატონობის დროს, მთლად განადგურების კარამდე მისულა ეს ფასდაუდებელი მცენარე.

ამბობენ — ღვინოში ყველაზე მეტი მზის სხივებია. ეს მართალიც არის. არაგვის ხეობაში, ჩვენი რესპუბლიკის ამ შესანიშნავ კუთხეში, საუკეთესო პირობებია ვაზის გაშენებისათვის, რაც მთავარია, აქ მცენარეებს მზის სხივები არ აკლიათ, ნიადაგი ვაზისათვის ზედგამოჭრილია. ამიტომ იყო, კოლმეურნეებმა ნავენახარზე ხელახლა რომ დარგეს ვაზი. დუშეთის რაიონში ახლა 210 ჰექტარი ვენახია.

კარგი ვენახები აქვთ ბულაჩაურის, არაგვისპირის, მლაშის, ჭოპორტისა და არანისის კოლმეურნეობებს. ვაზი ფართოდ არის გავრცელებული მდინარეების ნარეკვავისა და ქსნის ხეობებში.

რაიონში გამოიზარდნენ ვენახის მოვლა-პატრონობის შესანიშნავი ოსტატები, რომლებმაც თავიანთი ხუთი თითივით იციან როდის რა სჭირდება ვაზს და ყოველთვის ყურძნის მაღალ მოსავალს იღებენ.

არაგვისპირის კოლმეურნეობაში სახელი გაითქვა ვანო ლოთიკაშვილმა, რომელსაც მოსავლელად მიჩენილი აქვს ნახევარი ჰექტარი ვენახი. კარგი მოვლა-პატრონობით მან შარშან ამ ნაკვეთზე 61 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა ნაცვლად 30 ცენტნერისა. უხვი მოსავალი მოიყვანეს აგრეთვე ოძისელმა ნასყიდა ხუციშვილმა, მლაშელმა სანდრო იდუკაშვილმა, არაგვისპირელმა დიმიტრი საღირაშვილმა და სხვებმა.

ბულაჩაურის კოლმეურნეობაში 50 ცენტნერის ნაცვლად თვითეულ ჰექტარზე 90 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს.

ვაზი გაბედულად მიიწევს წინ და თანდათანობით ახალ ადგილებს იპყრობს. შარშან რაიონში 30 ჰექტარი ვენახი გააშენეს. ამდენივე გაშენდება წელსაც.

რა თქმა უნდა, ეს კარგია, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ვაზს ზოგ კოლმეურნეობაში ჯეროვნად არ უვლიან და, ასე ვთქვათ, აგდებით ეკიდებიან.

დუშეთის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში 15 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი მოუვლელია, არ იცავენ აგროწესებს, რის გამო ვაზი დაკნინდა, ვენახი გამეჩხერდა, მთელი წლის მანძილზე ვაზი ბედის ანაბარად არის მიტოვებული და რა გასაკვირველია, რომ შარშან აქ თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მხოლოდ 15 ცენტნერი ყურძენი მიიღეს.

უსულგულოდ ეკიდებიან ვაზს მჭადიჯვრის კოლმეურნეობაში, დაც 22 ჰექტარი ვენახი აქვთ. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ აქ ვაზისადმი დანაშაულებრივ უდარდელ დამოკიდებულებას იჩენენ. ვენახი იმდენად არის გამეჩხერებული, რომ მხოლოდ 12 ჰექტარია სრულად დატვირთული ვაზით. შარშან აქ თაკის დროზე არ ჩაატარეს ვენახის ღრმად ხვნა, საკმარისი რაოდენობით არ შეიტანეს სასუქები, ნახევრადშემოუღობავ ვენახში ახლაც პირუტყვი დათარეშობს. საოცარია, რომ ეს ოდნავაც არ აღელვებს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნ. წოკლაურს და პარტბიუროს მდივანს ვ. დინუაშვილს.

მეურნეობის ამ შესანიშნავი დარგისადმი უყურადღებობით შარშან კოლმეურნეობას დააკლდა 300 ათასზე მეტი მანეთის ყურძენი.

უძველესი დროიდან ხარობს ვაზი ქსნის ხეობაში. სოფელ ოძისში კოლმეურნეთა შემოსავლის ძირითადი წყაროა მევენახეობა. მართალია, აქ ყურძნის მიღების გეგმა გადაჭარბებით შესასრულეს, მაგრამ ვაზი მაინც არ არის სრულყოფილად მოვლილი.

ეს მაშინ, როცა პირად საკუთრებაში მყოფი ვენახები საუკეთესოდ გამოიყურება და კოლმეურნეები დიდძალ შემოსავალსაც იღებენ.

რაიონის ზოგ კოლმეურნეობაში ვენახი შემოუღობავია, გადაყვანილი არ არის შპალერზე, დროულად არ ტარდება ვაზის მოვლის ღონისძიებანი. განსაკუთრებით ცუდად უვლიან ვენახს ლაფანაანთკარისა და ყვავილის კოლმეურნეობებში.

ვაზი ჩვენი სიამაყე და სიხარულია. ამიტომაც გწყდება გული, როცა უცქერი ადამიანის მზრუნველობას მოკლებულ, დაკნინებულ ვაზს

ა. თოდაძე.

ДАРГВІС ШЕМДГОМІ МДЛАВРІ АЛМАВЛОБІСАТВІС

ცხოვრების კარნახით

1957 წლის თებერვალში კოლმეურნეთა საერთო კრებაზე ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნით მივიღეთ დადგენილება ბრიგადების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შესახებ: სათანადო ფონდების გამოყოფისა და ხარჯების დაფარვის შემდეგ მოსავალი უნდა განაწილებულიყო ბრიგადის წევრებს შორის. ცვლილება შევიტანეთ პრემიების გაცემის წესში. კოლმეურნე, რომელიც გადაჭარბებით შეასრულებს თამბაქოს და სხვა ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის გეგმებს, შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით იღებს წაჰარბის 70 პროცენტს, ხოლო სიმინდის მოსავლის ნაჭარბის ნახევარს.

ასეთი ღონისძიების განხორციელებამ კარგი შედეგი გამოიღო, კოლმეურნეთა დაინტერესება გამოიწვია. თვით ჩვენთან შექმნილი ვითარება მოითხოვდა აღნიშნული ღონისძიების განხორციელებას, თითქოს სწორედ ჩვენზე იყო ზედ გამოჭრილი ნ. ხრუშჩოვის სიტყვები: „ახლა ხშირად ასე ხდება: ერთი ბრიგადა ცუდად მუშაობს, მეორე კარგად, ყველაფერი კი საერთო ქვაბში მიდის. არა, ასე არ ვარგა, მოდით ბრიგადებშიც ავანაზღაუროთ შრომა წარმოებული პროდუქციის რაოდენობის მიხედვით. თუ ბრიგადა ცუდად მუშაობს, დაე ის მიიღოს, რაც გამოიმუშავა. ერთი სიტყვით, უნდა გამოვნახოთ იმის ღონისძიებანი, რომ ცუდად მომუშავეებმა ვერ მიიღონ ის, რაც არ ეკუთვნით. ამისათვის უნდა შევუქმნათ სტიმული, მაღალი ანაზღაურება და პატივი ამათ, ვინც კარგად მუშაობს“.

მიმდინარე სამეურნეო წლის დაწყებიდანვე მოვახდინეთ რა ბრიგადების დაკომპლექტება, შევეცით მათ საწარმოო დავალებები.

ხორბლის, სიმინდის, თამბაქოს და სხვა კულტურების გეგმები დავყავით შრომისუნარიან კოლმეურნეებზე და ამის მიხედვით მივეცით საწარმოო დავალებები ბრიგადებს.

ბრიგადის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლამ განამტკიცა შრომის დისციპლინა. თუ წინათ თავიანთ რიგებში ითმენდნენ ზარმაცებს, ახლა სასტიკად კიცხავდნენ და უკიჟინებდნენ მათ, რადგან ამჟამად უფრო ნათლად გამოჩნდა მათი მავნე გავლენა საერთო წარმატებებზე. ამას წინათ კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე განვიხილეთ კომუნისტ ალექსი გოგოლაძის საკითხი. იგი ზარმაცობდა, საკოლმეურნეო შრომაში არ მონაწილეობდა. სიტყვით გამოსულმა კომუნისტმა ალექსი შავიძემ მას ასე მიმართა:

„ვინც სამუშაოზე არ გამოდის ჩვენი მტერია. სამი დღეღამე ვმუშაობ, შენ კი პირად საქმეებს გაუტაანიხარ. ერთ კაცს არ შეუძლია ათი კაცის საქმე გააკეთოს. პირველი ბრიგადა შრომადღეზე 8 კილოგრამ მარცვალს ანაწილებს, ჩვენს ბრიგადაში კი არც ერთი გრამი არ ნაწილდება. ეს შენისთანა უსაქმურების ბრალია. ბრიგადას უკან ეწევით. წინადადება შემომაქვს, თუ ალექსი გოგოლაძე სასარგებლო შრომას არ შეუდგება, გაირიცხოს პარტიის რიგებიდან.

პარტიულმა კრებამ ა. გოგოლაძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური პირად საქმეში შეტანით. რაიკომის ბიურომ 19 ნოემბერს პარტიული ორგანიზაციის დადგენილება დაამტკიცა.

შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ მრავალი ფაქტი იმის დასადასტურებლად, რომ კოლმეურნეები ახლა ერთმანეთს ახალისებენ, სამუშაოდ მოუწოდებენ, კიცხავენ ზარმაცებს.

მუშაობის ახალ წესზე გადასვლამ შრომის კიდევ უფრო სწორი და ზუსტი აღრიცხვა მოითხოვა. თვითეული საწარმოო ბრიგადის შრომა, მისი შემოსავალი და გასავალი ცალკე უნდა აღირიცხოს, რომ მოსავლის განაწილების პრინციპი არ დაირღვეს.

შრომის აღრიცხვის საკითხში ანგარიშწარმოების მუშაკებთან ერთად ბრიგადირების პასუხისმგებლობაც გაიზარდა. მართალია, ბრიგადირი ადრეც აღრიცხავდა შესრულებულ სამუშაოს — შრომადღეებს უწერდა კოლმეურნეებს, მაგრამ სუსტი იყო კონტროლი შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და დაწერილი შრომადღეების რეალობისადმი. უფრო მეტიც: ზოგიერთი ბრიგადირი გატაცებული იყო ბრიგადაში იაფფასიანი ავტორიტეტის მოპოვებით, შრომადღეებს ზედმეტად უწერდა ბრიგადის წევრებს. ახლა მათ კარგად იციან, რომ ბრიგადაში შრომადღეების გაბერვით შრომადღის ანაზღაურება შემცირდება. ამიტომ დაწესებულია ორმხრივი კონტროლი ბრიგადირისა და ანგარიშწარმოების მუშაკების მიერ სამუშაოს ხარისხოვნად შესრულებასა და შრომადღის სწორად აღრიცხვაზე.

ადრე არც ერთი კოლმეურნე თავის მეზობელს არ ამჩნევდა სამუშაოს უხარისხოდ შესრულების გამო. წელს კი ასე როდია. მაგალითად, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მწყემსი სამუელ გოგოლაძე გამგეობაში მოვიდა და განაცხადა, რომ ფორა გონაშვილმა სიმინდი უხარისხოდ გათოხნა, ხოლო „ნაენდროვალში“ მომკილ ყანაში თავთავი აკრეფილი არ არისო. სიგნალი სამართლიანი იყო. გამგეობამ ნაკლი სწრაფად აღმოფხვრა. ბრიგადების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შემდეგ დაიწყო ბრძოლა შესრულებული სამუშაოს ხარისხისათვის, შრომადღეების უფრო მოჭირნეულ ხარჯვისათვის, რასაც საუკეთესო შედეგი მოჰყვა. თუ წინა წელს ერთი ცენტნერი ხორბლის მოყვანა 1,7 შრომადღე დაჯდა, გასულ წელს 1,46 შრომადღე დაიხარჯა, თვითეული ცენტნერი სიმინდის მოყვანაზე 1,9 შრომადღით ნაკლები დაიხარჯა. ასევე შემცირდა სხვა პროდუქციის თვითღირებულებაც.

კოლმეურნეობამ გასულ წელს პირველად ვადაზე ორი თვით ადრე შეასრულა წველადობის გეგმა, მოსავლიანობისა და თამბაქოს დამზადების გეგმები. 165 ჰექტარი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 52 ცენტნერი სიმინდი.

ფურაჟისა და სათესი მასალის გამოყოფის შემდეგ შრომადღეზე ავანსად გაცემულ იქნა მარცვლეული პირველ ბრიგადაში 3,4 კილოგრამი, მეორე ბრიგადაში — 2,7 კილოგრამი, მესამე ბრიგადაში — 3 კილოგრამი. მეექვსე და მერვე ბრიგადებში სიმინდი ავანსად არ გაცემულა, რადგან მათ დაბალი მოსავალი მიიღეს და საწარმოო დავალება ვერ შეასრულეს.

წინასწარი გამოანგარიშებით ერთი შრომადღის ღირებულება ფულადი გამოხატულებით საშუალოდ 10 მანეთს შეადგენს, ხოლო ცალკეულ ბრიგადებში იგი მნიშვნელოვნად მეტია. ყველაფერი ეს გაკეთდა ცხოვრების კარნახით.

ფ. ხუციშვილი,

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ყარსუბნის გაზეთ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ОРІ КОЛМЕУРНЕОБА ОРІ МАГАЛІТІ

შესანიშნავი მაჩვენებლებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი სოფელ ქვემო აკეთის კოლმეურნეობამ. ეს არტელი ლანჩხუთის რაიონში ერთ-ერთი პირველია, რომელმაც საპასუხოდ გაახალდა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ყველა ვალდებულება.

აქ მეურნეობის მთავარ დარგს მეჩაიეობა წარმოადგენს. კოლმეურნეები სანიმუშოდ უვლიან პლანტაციებს, კარგ შედეგსაც აღწევენ. გასულ სეზონში 274.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ჩაბარეს სახელმწიფოს. საშუალოდ ჰექტარზე 3.900 კილოგრამი ხარისხოვანი ნედლეული მიიღეს. მეჩაიეობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2.700 ათას მანეთს გადააჭარბა. მიიღეს სიმინდის მაღალი მოსავალიც.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის აწრაფ აღმავლობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ყოველ ძროხაზე მიღებულია 1.070 ლიტრი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 950 ლიტრისა. გასულ წელს მეცხოველეობიდან მიღებულმა შემოსავალმა 376.000 მანეთი შეადგინა.

საგრძნობლად გაიზარდა შრომადღის ღირებულება. კოლმეურნეები თვითეულ შრომადღეზე 29 მანეთ ფულს და 6 კილოგრამამდე მარცვლეულს მიიღებენ. კოლმეურნე ვ. ქურიძის ოჯახი კოლმეურნეობიდან მიიღებს 40.000-მდე მანეთს. ასეთ დიდ თანხას აქ ბევრი ოჯახი მიიღებს.

მაგრამ ასე როდი მუშაობენ ჭანჭათის კოლმეურნეობაში, თუმცა ქვემო აკეთისა და ჭანჭათის კოლმეურნეობებს მუშაობის ერთნაირი პირობები აქვთ.

ჭანჭათელებმა საზეიმო ვითარებაში გააფორმეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება მეზობელი სოფლის ზემო აკეთის სასოფლო - სამეურნეო არტელთან. ეს იყო გასული წლის დასაწყისში. ვალდებულების მიხედვით ჭანჭათის კოლმეურნეობას უნდა მოეკრიფა 234 ტონა ჩაის ფოთოლი, ფაქტიურად მოკრიფეს 175,5 ტონა. დავალების შესრულება რომ შეიძლებოდა, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მოწინავე კოლმეურნის ა. მგელაძის რგოლმა 106 პროცენტით შეასრულა ჩაის კრეფის წლიური დავალება. ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე ნ. ბურკაძემ, ფ. ცინცაძემ, ბ. წულაძემ და სხვებმა.

ცუდი მოვლა-პატრონობის გამო შემცირდა ერთწლიანი კულტურების მოსავლიანობა, საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 9,5 ცენტნერი სიმინდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერისა. სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ საზოგადოებრივ მეცხოველეობაში. ეს დარგი ყოველ წელს 46.000 მანეთ ზარალს იძლევა. არ ზრუნავენ მეღორეობის განვითარებისათვის, თვითეულ დედაღორზე 4 გოჭი მიიღეს.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელები (თავმჯდომარე შ. წულაძე, აგრონომი დ. ცუცქირიძე) ასეთ სერიოზულ ჩამორჩენას ურიგდებიან და ნაკლოვანებებს სხვადასხვა „ობიექტური“ მიზეზებით ხსნიან.

საყურადღებოა ერთი ფაქტი; ბალიასტომის ტბის სანაპიროზე თვალუწვდენი სათიბი ფართობები აქვთ ამავე რაიონის ხიდმაღალას, ახალსოფლის, ლანჩხუთის, ლაშისღელის და სხვა სასოფლო-სამეურნეო არტელებს, რომლებიც 1.000 მანეთად ჰყიდიან ჰექტარ სათიბს. ჭანჭათის კოლმეურნეობას ყოველწლიურად 20.000 მანეთი უჯდება სათიბი ნაკვეთის ყიდვა. ამ საქმით უსათუოდ უნდა დაინტერესდნენ პარტიის ლანჩხუთის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი. საქმე ისე უნდა მოგვარდეს, რომ სათიბი მიწების ყიდვა-გაყიდვა არ ხდებოდეს.

ბ. ჩხაიძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვემო აკეთის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ნინო ღლონტი (მარჯვნივ) ესაუბრება ახალგაზრდა მეჩაიეს მ. ღლონტს ჩაის მოსავლიანობის გადიდების საკითხებზე.

ფოტო კ. ვაჩიბერიძისა.

МЗВЕЛАВ МІЧАЧІС ШРОМІТІ САЧМЕЕБІ

ორი-სამი წლის წინ მახარაძის რაიონის მელექედურის კოლმეურნეობაში მეცხოველეობა თავმინებებულ დარგს წარმოადგენდა, ახლა კი იგი დიდ როლს ასრულებს ამ სასოფლო-სამეურნეო არტელის ეკონომიკის განმტკიცებაში. შარშან კოლმეურნეობაში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 2.600 ლიტრი რძე მიიღეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.200-სა ხოლო ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მიიღეს 500 ცენტნერი პროდუქცია. 1957 წელს კოლმეურნეობამ მეცხოველეობიდან 700-800 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღო.

ბევრი წარჩინებული მეცხოველე ჰყავს კოლმეურნეობას, მაგრამ მათ შორის პირველობა მაინც სანდრო მიქაძეს ეკუთვნის. იგი 10 წელზე მეტია მწველავად მუშაობს, წლითიწლობით ადიდებს წველადობას, აკცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

თავისი მუშაობის გამოცდილების შესახებ ს. მიქაძემ შემდეგი გვიამბო:

— პირადად მე მოსავლელად ჩაბარებული მყავს ველის წითელი ჯიშის 11 ძროხა, თვითეულ მათგანს დღეში ვაძლევ 10-12 კილოგრამამდე სილოსს, ამდენსავე კონცენტრირებულ საკვებს. დილა-საღამოს დამატებით ვაჭმევ თბილ წყალში გახსნილ ქატოს. პირუტყვი ზამთარ-ზაფხულ ბაგურ კვებაზე გვყავს, უზრუნველყოფილია ავტოსარწყულებლებით.

ზაფხულობით პირუტყვს წვნიან და კონცენტრირებულ საკვებთან ერთად საკმაო რაოდენობით ვაძლევთ ახალ თივას და სიმინდის მწვანე მასას. თვითეულ ძროხას მზრუნველობით ვუვლი.

ამ ხერხებით მივაღწიე იმას, რომ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1957 წელს მივიღე 3.500 ლიტრი რძე. მიმდინარე წელს უკეთესად ვიმუშავებ — თვითეულ ძროხაზე მივიღებ სულ ცოტა 4.000 ლიტრ რძეს.

გამოჩენილი მწველავის ს. მიქაძის მეთოდით მუშაობენ ამავე კოლმეურნეობის წევრები მწველავები კ. ღლონტი და ვ. მარტიკოვი, რომლებმაც მოსავლელად მიჩენილ თვითეულ ძროხაზე შარშან 3-3 ათასი ლიტრი რძე მიიღეს.

მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად მელექედურელი მეცხოველეები ვალდებულებას კისრულობენ 1958 წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღონ 2.800 ლიტრი რძე და სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევენ ამავე რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობის მეცხოველეებს. პირადად მწველავმა ს. მიქაძემ შეჯიბრებაში გამოიწვია ნაგომრელი კოლმეურნე, საქართველოს სსრ მოწინავე მწველავი შ. წიტაიშვილი.

ბ. დესიშვილი.

შარშან ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ თვითეულ საფურაჟე ძრ ხაზე მიიღო 2.100 კილოგრამი რძე.

სურათზე: სარძეო-სასაქონლო ფერმაში.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ШРОМІА ДАУФАСДАТ

ბოლნისელ კოლმეურნეებს სიმინდი უყვართ. იგი არც წინათ სძულდათ, მაგრამ იმის გამო, რომ კარგად ვერ უვლიდნენ, დაბალ მოსავალს იღებდნენ.

უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობაში სიმინდს განსაკუთრებული უურადღება მიაქცეს. მოწინავე აგრობიოლოგიის დანერგვით და შრომის სწორი ორგანიზაციით ახლა ბოლნისის სტანციის სახელობის კოლმეურნეობაში წარმატებას აღწევენ სიმინდის მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

ბოლნისელმა კოლმეურნეებმა მრავალი ასეული ტონა მინერალური და ორგანული სასუქი შეიტანეს ნათესებში. მაშვიერის ხარწყავი არხიდან წყალი არ მოაკლეს გაშლილ ვედებს, გაწმინდეს მიწა ხარეველებისა და უსარგებლო ბუჩქნარებისაგან. შედეგიც საუკეთესოა. შარშან სიმინდის მოსავლიანობის გეგმა ორმაგად შეასრულეს.

კოლმეურნეობას მრავალი ნოვატორი ჰყავს. ერთ-ერთი მათგანია ბრიგადირი ელგუჯა ჯაფარიძე. საკოლმეურნეო შრომის ეს ვეტერანი თავს დასტრიალებს სიმინდის ნათესს. მის ხელში მცენარეს არასოდეს არ გასჭირვებია. ამ ბრიგადის წევრები სიმინდის უხვი მოსავლის მისაღებად დიდ უურადღებას აქცევენ საკანე ნიადაგის პირველად დამუშავებას. ნიადაგს ზამთრის კარგ ამინდში 20-22 სანტიმეტრ სიღრმეზე ხნავენ. ასეთ შემთხვევაში სასუქის მოქმედება უფრო ეფექტიანია.

ნიადაგის გასანოყიერებლად ადგილობრივ სასუქსაც იყენებენ. ჰექტარზე შეაქვთ სულ მცირე 15 ტონა ნაკელი. მიწის გადახვნას ახდენენ პირველი მოხვნის გარდგარდმო 15 სანტიმეტრ სიღრმეზე. ამ სამუშაოს შესრულებაში კოლმეურნეობას კარგად ეხმარებიან ბოლნისის მექანიზატორები. აღნიშნულ სამუშაოს უმთავრესად მარტში ასრულებენ.

თესვისათვის წინასწარ ემზადებიან. არჩევენ კარგი ხარისხის თესლს. თესავენ ბამბის ყვითელი ჯიშის სიმინდს.

თესვას იწყებენ ისეთ დღეებში, როცა ტემპერატურა მიწის ზედაპირზე სულ მცირე 15 გრადუს სითბოს უჩვენებს, ძირითადად თესვას აპრილის პირველ ნახევარში ამთავრებენ.

პირველად თოხნიან მაშინ, როცა მცენარე 2-3 ფოთოლს გაიკეთებს. ამ სამუშაოს შესასრულებლად იყენებენ კულტივაციას, მეორე თოხნას 15 დღის შემდეგ აწარმოებენ, ხოლო ივნისში მესამე თოხნიან.

ყვავილობის პერიოდში ხელოვნურ დამტვერვას მიმართავენ. ამ ღონისძიებას ახორციელებენ დღის საათებში, ზუსტად იცავენ აგრეთვე მთელ რიგ სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებებს. ყოველივე ამის შედეგად ე. ჯაფარიძის ბრიგადის წევრებს შრომა კარგად დაუფასდათ. შარშან მოსავლელად მიჩენილი 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 100 ცენტნერზე მეტი სიმინდი მოიყვანეს. (ტარიელ) მ. ჯაფარიძის ბრიგადის წევრები მიღწეულთ როდი კმაყოფილდებიან, ახლა ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, მოიმარაგეს კონდიციური თესლი. სიმინდის დასათესი ნიადაგი მზად აქვთ და იბრძვიან იმისათვის, რომ წელს ყოველ ჰექტარზე 110 ცენტნერი სიმინდი მიიღონ.

შ. ჯოჯუა.

ЧОВЕЛ ДЕДАЛОРЗЕ—16 ГОЖІ

სოფლის მეურნეობაში მეცხოველეობა სწრაფმზარდი და რენტაბელური დარგია. 1954 წლამდე ჩვენს კოლმეურნეობაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა მეღორეობის განვითარებას, ამის შედეგად დაბალი იყო მიხი პროდუქტიულობა.

მაგრამ სამოოდე წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ღორის ხორცის ხვედრითი წონა ხორცის საერთო წარმოებაში. ახლა კოლმეურნეობაში გვყავს 158 ღორი, მათ შორის 88 დედაღორი.

ყოველწლიურად ვაუმჯობესებთ ჯიშობრივ შემადგენლობას და ვზრდით პროდუქტიულობას. თუ წინათ ერთ დედაღორზე 5-6 გოჭს ვიღებდით, შარშან 16 გოჭი მივიღეთ. ახლა ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ ყოველ დედაღორზე მივიღოთ და შევინარჩუნოთ 18 გოჭი.

რვა წელია ვმუშაობ მეღორეობის ფერმაში, ვუვლი 9 დედაღორს. კარგად ვარ დაუფლებული დედაღორებისა და გოჭების მოვლა-პატრონობის ზოოტექნიკურ წესებს. ამ საქმეში დიდ დახმარებას მიწევს კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი შ. დარსაძე.

ჯანმრთელი გოჭების მიღებისათვის აუცილებელია მაკე ღორების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესება. ამიტომ ყოველი დედაღორისათვის საკვებ რაციონს ვადგენ მისი წლოვანების, ცოცხალი წონისა და იმის შესაბამისად, თუ დაახლოებით რამდენი გოჭის მოღებას მოველი. მაკეობის პირველ ხანებში ვაძლევ მაღალხარისხოვან წვნიან საკვებს. ზაფხულში დედაღორები საძოვარზე გამყავს. მოგებამდე ერთი თვით ადრე საკვებ რაციონში ვამცირებ წვნიან საკვებს, ვადიდებ კონცენტრატებს.

ზაფხულში კონცენტრატებთან ერთად დედაღორებს ვაძლევ მწვანე ბალახს, ზამთარში კი კომბინირებულ საკვებს — დღეში სამჯერ დაწესებულ დროზე. საკვებში ვურევ მარილს. დაბადების პირველ დღეებში გოჭებს დღე-ღამეში ორჯერ მივუშვებ ხოლმე ძუძუს მოსაწოვად. სუსტად განვითარებულ გოჭებს ვაწოვინებ იმ ძუძუებს, რომლებშიც ყველაზე მეტი რძეა, ხოლო ღონიერებს — უკანა ძუძუებს. მესამე დღეს ვაძლევ სუფთა სასმელ წყალს, ვაჭმევ მოხარშულ ქატოს და მინერალურ საკვებს.

გოჭებს დედას ვაშორებ ორი თვის ასაკში და ვაჯგუფებ ცოცხალი წონის მიხედვით. სუსტებს გამოვყოფ ძლიერებისაგან. როცა შევატყობ, რომ რომელიმე მათგანი ცუდად ან სულ არა ჭამს, ის მაშინვე გადამყავს ცალკე და ვუქმნი კვების განსაკუთრებულ პირობებს. სერიოზულ ყურადღებას ვაქცევ საკვების მომზადებას და კვების რაციონის ზუსტად დაცვას. კარგი კვებით და მოვლით გოჭი დღე-ღამეში 150 გრამამდე მატულობს წონაში, ხოლო ერთი თვის ასაკში 5-6 კილოგრამს იწონის.

ჩვენს კოლმეურნეობაში მეღორეობის განვითარების დიდი რეზერვებია. ფერმის მახლობლად არის მუხის ტყის მასივი. აქ დიდი რაოდენობით არის რკო, მაგრამ დღემდე ამ ძვირფასი საკვების მაქსიმალურად გამოყენებას საკმაო ყურადღება არ ექცევა. ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს.

ვალდებულებას ვკისრულობ წელს თვითეულ დედაღორზე 18 გოჭი მივიღო და გავზარდო. ამით ჩემს წვლილს შევიტან ხორცის წარმოების გადიდების საქმეში.

ი. მაჩიტიძე,

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წითელხევის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის მეღორე.

МЕТІ УУРАДДЕБА САКВЕБМОПОВЕБАС

ცნობილია, რომ მეცხოველეობის პროდუქტიულობის განუხრელ ზრდას აღწევენ მხოლოდ ის საზოგადოებრივი მეურნეობები, რომლებიც საკმაო რაოდენობით მოეპოვებათ სხვადასხვა სახის საკვები.

მეცხოველეობის აწრაფი აღმავლობის მთავარი პირობაა მყარი საკვები ბაზის სწორი ორგანიზაცია. ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივ-ეკონომიური პირობები დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება, ამიტომ საკვების წარმოების გადიდების საკითხებიც სხვადასხვა გზით უნდა გადაიჭრას.

ყველა აახის სასოფლო-სამეურნეო ცხოველების საკვებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საკვებმოპოვების თესლბრუნვების საფუძველზე აგებულ მწვანე კონვეიერს. მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საკვებმოპოვების განყოფილებამ რესპუბლიკის ახვადასხვა რაიონების ბუნებრივ-ეკონომიური პირობების გათვალისწინებით ჯერ კიდევ 1948-50 წლებში დაამუშავა მეძროხეობისა და მეღორეობის ფერმებისათვის საკვებმოპოვების თესლბრუნვები მწვანე კონვეიერით, რომლებიც, სამწუხაროდ, დღემდე წარმოებაში თითქმის არ არის დანერგილი.

მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო - საკვლევი ინსტიტუტის საკვებმოპოვების განყოფილებამ აღმოსავლეთ საქართველოს გვალვიან ურწყავ ზონაში გამოსცადა სუდანურას 10 ჯიში, რომელთაგან ოთხმა უდაბნოს საცდელი მეურნეობის პირობებში საშუალოდ ჰექტარზე 222-279 ცენტნერამდე მწვანე მასა მოგვცა, ხოლო წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის პირობებში — 536-634 ცენტნერი. მიუხედავად ამისა, გვალვიან ურწყავ რაიონებში სუდანურას დანერგვას დღემდე სათანადო ყურადღება არ ექცევა.

სიმინდმა, როგორც ძვირფასმა სამარცვლე და სასილოსე კულტურამ, საპატიო ადგილი დაიკავა მთელ საბჭოთა კავშირში. მაგრამ ჩვენში იშვიათი როდია ისეთი შემთხვევა, როცა სიმინდის ნათესებს, თუ მათ სასილოსე ან მწვანე საკვების დანიშნულება აქვთ, სრულიად არ უვლიან, რის გამო მწვანე მასის მეტად მცირე მოსავალს იღებენ.

წვნიანი საკვებიდან საქართველოს სხვადასხვა ზონაში გამოცდილი და რეკომენდირებულია: საკვები გოგრის, საკვები საზამთროს, ყაბაყის, საკვები ჭარხლისა და მიწაჯამლას რამდენიმე ჯიში. ინსტიტუტის საკვებმოპოვების განყოფილების მიერ მოწყობილი ცდებით გამოვლინებულ იქნა მიწაჯამლას ზოგიერთი ჯიში, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ ზონაში და დასავლეთ საქართველოს რაიონებში ჰექტარზე 300-500 ცენტნერ ტუბერის მოსავალს იძლევიან, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ურწყავ ზონაში 200-300 ცენტნერს. გარდა ამისა, შესწავლილია აგრეთვე მიწაჯამლას მიწისზედა ნაწილის — მწვანე მასის სასილოსედ გამოყენების საკითხი. მისი მოსავალი ჰექტარზე 300-600 ცენტნერს აღწევს. ამავე დროს მიწაჯამლას მწვანე მასისაგან დამზადებული სილოსი მაღალი ყუათიანობით ხასიათდება და უახლოვდება მზესუმზირასაგან დამზადებულ სილოსს, ხოლო მიწაჯამლას ტუბერები საუკეთესო წვნიან საკვებს წარმოადგენს განსაკუთრებით ღორებისათვის.

ერთწლიანი პარკოსანი ბალახებიდან რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში გამოიცადა და რეკომენდებულია ცერცველა, ცულიპირა, ბარდა, ერთწლიანი სამყურა და სხვა, რომლებიც მწვანე მასის უხვ მოსავალს იძლევიან.

ცერცველა-შვრიის ბალახნარევების თესვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ საქართველოს ტენიან რაიონებში მიწის ფართობების რაციონალური გამოყენების თვალსაზრისითაც, რადგან ეს ბალახები ემბავრისად ითესება როგორც შუალედი კულტურები.

ნაწვერალზე თესვა და შუალედი კულტურების თესვა ჩვენი რესპუბლიკის პირობებში საკუთრივ რეალური, წარმოებაში საკმაოდ შემოწმებული საიმედო ღონისძიებაა და გაბედულად უნდა დაინერგოს.

განსაკუთრებით არასწორი დამოკიდებულება დამკვიდრდა ჩვენში მრავალწლიანი ბალახების მიმართ, რომელთა ფართობები უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად შემცირდა.

ჩვენს რესპუბლიკაში მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების გავრცელებაა ერთ-ერთი მთავარი ხელშემშლელი მიზეზი მათი თესლის უქონლობა. ამჟამად გადაუდებელი ამოცანაა საკვები კულტურების მეთესლეობაა მოწესრიგება. ამ მიზნით არსებული მრავალწლიანი ბალახების ნათესები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ თესლის მისაღებად, რათა ყოველი კოლმეურნეობა უზრუნველყოთ საკუთარი თესლით.

ბუნებრივ საკვებ სავარგულებს რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საკვებ რესურსებში საკმაოდ დიდი ხვედრითი წონა აქვს, მაგრამ ძალიან მცირე პროდუქტიულობით ხასიათდება, რადგან მიუხედავად ზემდგომი ორგანოების არაერთი დადგენილებისა, არ ხორციელდება მათი გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებანი.

მელიორაციისა და სათიბ-საძოვრების ტრესტის მიერ 1948-1954 წლებში საქართველოს სსრ სათიბ-საძოვრების სპეციალური შესწავლის საფუძველზე შედგენილია ამ სავარგულების დაწვრილებითი დახასიათება (პასპორტიზაცია) რაიონების მიხედვით და დასახულია ღონისძიებანი სავარგულების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. მაგრამ ამან დღემდე ვერ ჰპოვა სათანადო გამოხმაურება. საჭიროა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიიღოს ზომები ამ ღონისძიებების განსაზორციელებლად, რაც ხელს შეუწყობს სოციალისტური მეცხოველეობისათვის ყველა სახის საკვების უხვად წარმოებას.

ბ. აბესაძე,

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

◎ ჩაი დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებისა და რაიონების უმეტესი ნაწილის ეკონომიკისა და კეთილდღეობის საფუძველია. საქართველო აწარმოებს ჩვენს ქვეყანაში მოყვანილი მთელი ჩაის დაახლოებით 97 პროცენტს.

◎ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა. ორი წლის განმავლობაში საქართველოს სსრ რესპუბლიკამ მიიღო 108 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მათ შორის 1.071 ტრაქტორი, 745 კომბაინი, 8.500-მდე სატვირთო და მსუბუქი მანქანა.

◎ თუ 1957 წელს რესპუბლიკაში მოკრეფილი იყო დაახლოებით 200 ათასი ტონა ყურძენი, 1965 წელს უნდა მოიკრიფოს სულ ცოტა 500 ათასი ტონა ყურძენი.

◎ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 5 ათას ჰექტარზე მეტი ახალი ბაღები გაშენდა. 1965 წელს ბაღების ფართობი გადიდდება 70 ათას ჰექტარამდე. ხოლო სულ რესპუბლიკაში 140 ათას ჰექტარამდე ბაღის ფართობი იქნება.

◎ 1955 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებული იყო 825 კილოგრამი რძე, 1957 წელს ერთი საფურაჟე ძროხის საშუალო წველადობა 1.002 კილოგრამს შეადგენდა.

◎ 1955 წელს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 100 ჰექტარზე მიღებული იყო 57 ცენტნერი რძე, 1957 წელს კი 70 ცენტნერი.

სსრ კავშირის მთავრობის განცხადება

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 5 თებერვალს გააკეთა განცხადება კორეიდან უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანისა და კორეის მშვიდობიანი გაერთიანების საკითხზე. ამ განცხადებაში წამოყენებულია წინადადებანი, რომ ერთსა და იმავე დროს სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეიდან გაყვანილ იქნან უცხოეთის მთელი ჯარები, მათ შორის ჩინეთის სახალხო მოხალისენი, რომ უცხოეთის ჯარების გაყვანის შემდეგ მოეწყოს სრულიად კორეის თავისუფალი არჩევნები ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენლებისაგან შემდგარი ორგანოს მეთვალყურეობით, მოეწყოს კონსულტაციები თანაბარ საწყისებზე კორეის ორივე ნაწილის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შესახებ, უახლოეს ხანში მინიმუმამდე შემცირდეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ კორეის შეიარაღებული ძალები.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ამ მოწოდებას. მან 7 თებერვალს განაცხადა, რომ უცხოეთის მთელმა ჯარებმა უნდა დატოვონ კორეა გარკვეულ ვადებში, და განაცხადა, რომ მზად არის კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად განიხილოს საკითხი კორეიდან ჩინეთის სახალხო მოხალისეთა გაყვანის შესახებ. მან დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატებისა და სხვა იმ ქვეყნების მთავრობებმა, რომელთა ჯარები ახლა სამხრეთ კორეაში იმყოფებიან, ასეთი ღონისძიებანი განახორციელონ აგრეთვე თავიანთი ჯარების გაყვანის მიზნით.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 19 თებერვლის ერთობლივ განცხადებაში აღნიშნეს, რომ ჩინეთის სახალხო მოხალისეებმა, დაეთანხმნენ რა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ამ წინადადებას, გადაწყვიტეს 1958 წლის დამლევამდე სავსებით მოახდინონ ევაკუაციები კორეიდან, ამასთან ევაკუაციის პირველი ეტაპი დამთავრდება 1958 წლის 30 აპრილამდე.

სსრ კავშირის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ამ ახალ ინიციატივას, მიაჩნია იგი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, ნდობის განმტკიცება სახელმწიფოთა შორის და მშვიდობის განმტკიცება.

კორეელი და ჩინელი ხალხების ღონისძიებათა მეოხებით, რომლებიც მიზნად ისახავენ კორეის პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაჭრას და რომლებსაც მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირმა და ბევრმა სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფომ, სისხლისღვრა კორეაში შეწყდა 1953 წლის ივლისში და ხელმოწერილ იქნა შეთანხმება დაზავების შესახებ. ეს შეთანხმება ამჟამადაც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს კორეის ნახევარკუნძულზე მშვიდობის დაცვის საქმეში. დაზავების უზრუნველყოფაში მცირე დამსახურება როდი მიუძღვის ნეიტრალური ქვეყნების კომისიას — კორეაში დაზავების სამეთვალყურეო კომისიას, რომელიც პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის, შვეიცარიის წარმომადგენლებისაგან შეიქმნა.

მიუხედავად ამისა, კორეაში არსებული მდგომარეობა არ შეიძლება შეშფოთებას არ იწვევდეს. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მთელი რიგი კონსტრუქციული წინადადებანი და ღონისძიებანი დასახა კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის, მაგრამ იმის გამო, რომ ამას წინააღუდგნენ სამხრეთ კორეის ხელისუფალნი, რომლებსაც მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატები, კორეა დღემდე არ არის გაერთიანებული. ის გარემოება, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1957 წლის ზაფხულში უარი თქვეს შეესრულებინათ დიდმნიშვნელოვანი პუნქტი შეთანხმებისა დაზავების შესახებ, რომლითაც შეზღუდულია იარაღის შეტანა კორეაში, აგრეთვე სამხრეთ კორეის არმიის აღჭურვა უახლესი იარაღით და სამხრეთ კორეის გადაქცევა ატომურ ბაზად, სულაც ვერ აადვილებს კორეის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას. უფრო მეტიც, ეს იწვევს ვითარების გამწვავებას კორეაში, რითაც, საბჭოთა მთავრობის რწმენით, არ შეიძლება დაინტერესებული იყოს რომელიმე მთავრობა, რომელიც ნამდვილად ესწრაფვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, კერძოდ, შორეულ აღმოსავლეთში.

საბჭოთა მთავრობა წინანდებულად დარწმუნებულია, რომ კორეის საკითხი ვერ გადაიჭრება კორეის საქმეებში უცხოეთის ჩარევის გზით. კორეის ეროვნული ერთიანობის აღდგენის პრობლემის გადაჭრას შეიძლება მიაღწიონ თვითონ კორეელებმა კორეის ორი ნაწილის თანდათანობით დაახლოების გზით.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინადადებანი ამ ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისა და კორეიდან უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანის შესახებ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადება ამავე საკითხზე ახალ შესაძლებლობებს ქმნიან იმისათვის, რომ კორეის პრობლემა გადაიჭრას კორეაში მშვიდობის დაცვის საქმეში. დაზავების უზრუნველყოფაში მცირე დამსახურება როდი მიუძღვის ნეიტრალური ქვეყნების კომისიას — კორეაში დაზავების სამეთვალყურეო კომისიას, რომელიც პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის, შვეიცარიის წარმომადგენლებისაგან შეიქმნა.

მიუხედავად ამისა, კორეაში არსებული მდგომარეობა არ შეიძლება შეშფოთებას არ იწვევდეს. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მთელი რიგი კონსტრუქციული წინადადებანი და ღონისძიებანი დასახა კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის, მაგრამ იმის გამო, რომ ამას წინააღუდგნენ სამხრეთ კორეის ხელისუფალნი, რომლებსაც მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატები, კორეა დღემდე არ არის გაერთიანებული. ის გარემოება, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1957 წლის ზაფხულში უარი თქვეს შეესრულებინათ დიდმნიშვნელოვანი პუნქტი შეთანხმებისა დაზავების შესახებ, რომლითაც შეზღუდულია იარაღის შეტანა კორეაში, აგრეთვე სამხრეთ კორეის არმიის აღჭურვა უახლესი იარაღით და სამხრეთ კორეის გადაქცევა ატომურ ბაზად, სულაც ვერ აადვილებს კორეის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას. უფრო მეტიც, ეს იწვევს ვითარების გამწვავებას კორეაში, რითაც, საბჭოთა მთავრობის რწმენით, არ შეიძლება დაინტერესებული იყოს რომელიმე მთავრობა, რომელიც ნამდვილად ესწრაფვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, კერძოდ, შორეულ აღმოსავლეთში.

საბჭოთა მთავრობა წინანდებულად დამოუკიდებლობისა და მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი საწინდარია, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესის დიდმნიშვნელოვანი საწინდარია. მხარეები აცხადებენ, რომ ორივე ქვეყანა მზად არის კვლავაც ყველა ღონისძიება განახორციელოს, რათა განამტკიცოს და მჭიდროდ შეაკავშიროს ძალები სოციალისტური ბანაკისა საბჭოთა კავშირის მეთაურობით.

განცხადებაში შემდეგ აღნიშნულია, რომ წინადადებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირის მთავრობამ წამოაყენა ამ უკანასკნელ ხანს იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქნას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების მთავრობათა მეთაურების თათბირი, აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენება და დაუყოვნებლივ შეწყდეს ამ იარაღის გამოცდა, დაიდოს თავდაუსხმელობის ხელშეკრულება ვარშავის ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოთა და ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის წევრ სახელმწიფოთა შორის, უზრუნველყოფილ იქნას ქვეყნების დამოუკიდებლობა და მშვიდობა შუა და ახლო აღმოსავლეთში, და მთელი რიგი სხვა წინადადებანი კონკრეტულად გამოხატავენ ამ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. მხარეები სავსებით უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის მთავრობის ამ წინადადებებს. ამავე დროს მხარეები აქტიურად უჭერენ მხარს პოლონეთის მთავრობის წინადადებას იმის შესახებ, რომ ცენტრალურ ევროპაში შეიქმნას ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონა. მხარეები ერთსულოვნად აღიარებენ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანმიმდევრულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ევროპის მშვიდობისა და უშიშროების საქმეში. მხარეები სავსებით უჭერენ მხარს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოზიციას, რომელსაც მიაჩნია, რომ გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების საკითხი უნდა გადაიჭრას ორი გერმანული სახელმწიფოს სრულუფლებიანობის საფუძველზე მოლაპარაკების გზით. მხარეები ერთსულოვნად იწონებენ იმას, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა დაუცხრომლად ახორციელებს ჟენევის შეთანხმებას, და სავსებით უჭერენ მხარს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ღონისძიებებს ვიეტნამის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის.

მხარეები აღნიშნავენ, რომ ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სწრაფი ზრდა.

მხარეები მტკიცედ უჭერენ მხარს ინდონეზიელი ხალხის, არაბთა ქვეყნების ხალხებისა და აზიისა და აფრიკის სხვა ყველა სოციალისტური ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი საწინდარია, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესის დიდმნიშვნელოვანი საწინდარია. მხარეები აცხადებენ, რომ ორივე ქვეყანა მზად არის კვლავაც ყველა ღონისძიება განახორციელოს, რათა განამტკიცოს და მჭიდროდ შეაკავშიროს ძალები სოციალისტური ბანაკისა საბჭოთა კავშირის მეთაურობით.

განცხადებაში შემდეგ აღნიშნულია, რომ წინადადებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირის მთავრობამ წამოაყენა ამ უკანასკნელ ხანს იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქნას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების მთავრობათა მეთაურების თათბირი, აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენება და დაუყოვნებლივ შეწყდეს ამ იარაღის გამოცდა, დაიდოს თავდაუსხმელობის ხელშეკრულება ვარშავის ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოთა და ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის წევრ სახელმწიფოთა შორის, უზრუნველყოფილ იქნას ქვეყნების დამოუკიდებლობა და მშვიდობა შუა და ახლო აღმოსავლეთში, და მთელი რიგი სხვა წინადადებანი კონკრეტულად გამოხატავენ ამ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. მხარეები სავსებით უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის მთავრობის ამ წინადადებებს. ამავე დროს მხარეები აქტიურად უჭერენ მხარს პოლონეთის მთავრობის წინადადებას იმის შესახებ, რომ ცენტრალურ ევროპაში შეიქმნას ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონა. მხარეები ერთსულოვნად აღიარებენ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანმიმდევრულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ევროპის მშვიდობისა და უშიშროების საქმეში. მხარეები სავსებით უჭერენ მხარს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოზიციას, რომელსაც მიაჩნია, რომ გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების საკითხი უნდა გადაიჭრას ორი გერმანული სახელმწიფოს სრულუფლებიანობის საფუძველზე მოლაპარაკების გზით. მხარეები ერთსულოვნად იწონებენ იმას, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა დაუცხრომლად ახორციელებს ჟენევის შეთანხმებას, და სავსებით უჭერენ მხარს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ღონისძიებებს ვიეტნამის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის.

მხარეები აღნიშნავენ, რომ ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სწრაფი ზრდა.

მხარეები მტკიცედ უჭერენ მხარს ინდონეზიელი ხალხის, არაბთა ქვეყნების ხალხებისა და აზიისა და აფრიკის სხვა ქვეყნების ხალხების ბრძოლას კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევისა და დაცვისათვის და მიაჩნიათ, რომ ეს სამართლიანი ბრძოლა მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლაა.

ორივე მხარეს, აღნიშნულია განცხადებაში, არ შეუძლია დანანებით არ აღნიშნოს, რომ იაპონიის მთავრობა წინანდებურად ახორციელებს არამეგობრულ პოლიტიკას ჩინეთისა და კორეის მიმართ.

ორივე მხარე ერთსულოვნად გმობს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეებისა და მათი დამქაშების პოლიტიკას, რომელიც ჯიუტად განაგრძობენ გამალებულ შეიარაღებას და საომარ მზადებას, უარს ამბობენ მშვიდობიან მოლაპარაკებაზე და ამწვავებენ საერთაშორისო დაძაბულობას. ორივე მხარე გადაჭრით გმობს გაფორმულ ხრიკებს, რასაც ახორციელებენ ამერიკის შეერთებული შტატები. რომლებიც მიზნად ისახავენ განაგრძონ ჩინეთის ტერიტორიის—კუნძულ ტაივანის ოკუპაცია და შექმნან „ორი ჩინეთი", აგრეთვე გადააქციონ სამხრეთი კორეა თავიანთ ატომურ ბაზად სამხრეთ კორეაში ატომური იარაღის შეტანის გზით, რითაც ირღვევა შეთანხმება კორეაში დაზავების შესახებ.

მოლაპარაკების დროს მხარეებმა მთელი სერიოზულობით გაუზიარეს ერთმანეთს აზრები ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეიდან უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანის, კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ. ორივე მხარეს ერთსულოვნად მიაჩნია, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 1958 წლის 5 თებერვლის განცხადებაში წამოყენებული წინადადებანი არა მარტო ასახავენ კორეელი ხალხის ეროვნულ მისწრაფებებს, რომელიც მოითხოვს სამშობლოს მშვიდობიან გაერთიანებას, არამედ დროული და რეალური წინადადებებიც არის თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში. ჩინეთის მთავრობამ, რომელიც დგას კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის აქტიური ხელშეწყობის თანმიმდევრულ პოზიციაზე, 1958 წლის 7 თებერვლის თავის განცხადებაში მხარი დაუჭირა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ყველა წინადადებას და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან კონსულტაციის შემდეგ წინადადებით მიმართა ჩინელ სახალხო მოხალისეებს პირველებმა დატოვონ კორეა. ჩინელი სახალხო მოხალისეები სავსებით დაეთანხმნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ამ წინადადებას და გადაწყვიტეს 1958 წლის დამლევამდე მთლიანად ეტაპობით დატოვონ კორეა, ამასთან ევაკუაციის პირველი ეტაპი დაამთავრონ 1958 წლის 30 აპრილამდე.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ეთანხმება რა ჩინელ სახალხო მოხალისეთა და დაცვისათვის ბრძოლა მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლაა.

ორივე მხარე, აღნიშნავს, რომ კორეიდან ყველა ჩინელი სახალხო მოხალისის ევაკუაციის ეს ინიციატივა კვლავ მოწმობს კორეა-ჩინეთის მხარის გულწრფელობას, რომელიც ისწრაფვის კორეის საკითხი გადაიჭრას მშვიდობიანი გზით და შენელდეს დაძაბულობა შორეულ აღმოსავლეთში. სწორედ ახლა დადგა მომენტი, რომ სერიოზულად შემოწმდნენ ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა ქვეყნები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებში. თუ ისინი ოდნავ მაინც არიან დაინტერესებულნი კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრით, მათაც უნდა კიაყვანონ კორეიდან მთელი თავიანთი ჯარები. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი მსოფლიო კიდევ უფრო ნათლად დარწმუნდება, რომ სწორედ ისინი აფერხებენ ყოველთვის კორეის მშვიდობიან გაერთიანებას. თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და ლი სინ მანის ხროვა სამხრეთ კორეაში კორეა-ჩინეთის მხარის ამ ინიციატივას სისუსტის ნიშნად მიიჩნევენ და შესაძლებლად ჩათვლიან გამოიყენონ ეს შემთხვევა, ისინი აუცილებლად აღმოჩნდებიან ისეთი შედეგების წინაშე, რომელთა გათვალისწინება შეუძლებელია. ამჟამად მთელი მსოფლიოს ხალხები აღარ დაუშვებენ, რომ იმპერიალისტებმა ახალი ომი გააჩაღონ. კორეელი ხალხის ძალები, რომლებიც აგრესიის წინააღმდეგ იბრძვიან, ისე მძლავრნი გახდნენ, როგორიც არასოდეს არ ყოფილან. ჩინელ ხალხს და კორეელ ხალხს, რომლებიც იზიარებენ ერთმანეთის ჭირსა და ლხინს, განუყოფელი ინტერესები აქვთ. ჩინელი ხალხი, ისევე როგორც წარსულში, არც მომავალში არასოდეს არ იქნება გულგრილი მაყურებელი ყოველგვარი იმპერიალისტური აგრესიისა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ.

დასასრულ, განცხადებაში ნათქვამია:

ორივე მხარე დარწმუნებულია, რომ კორეაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის ამ ჩასვლამ და ორივე ქვეყნის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკებამ არა მარტო განამტკიცა ორივე ქვეყნის მეგობრობა და დარაზმულობა, არამედ კიდევ უფრო განამტკიცებს და გააფართოებს ორივე ქვეყნის ურთიერთ თანამშრომლობას.

განცხადებას ხელს აწერენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ ლაი და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე კიმ ირ სენი.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

ცენტრალურ ევროპაში ატომური და წყალბადის იარაღის წარმოებისა და განლაგებისაგან თავისუფალი ზონის შექმნის საკითხზე

ამჟამად კაცობრიობისათვის მშვიდობიანი და უშფოთველი მომავლის ყველაზე მეტი იმედის მომცემია ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვა და ისეთი პირობების უზრუნველყოფა, რომელიც ატომის ენერგია გამოყენებულ იქნება მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით, მხოლოდ ადამიანთა საკეთილდღეოდ. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირი უკვე ათ წელზე მეტია დიდი სიმტკიცით და თანმიმდევრობით იბრძვის ამ ზოგადსაკაცობრიო მისწრაფებებისა და იმედების განხორციელებისათვის.

სამწუხაროდ, ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი, როგორც ისეთი სახელმწიფოები, რომლებსაც თავიანთ შეიარაღებაში აქვთ ატომგულის იარაღი, არ იჩენენ მზადყოფნას დათანხმდნენ ისეთ რადიკალურ ღონისძიებაზე, როგორიც არის ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვა და მისი ამოღება შეიარაღებიდან. ისინი იმედს ამყარებენ მასობრივი მოსპობის ამ იარაღზე, როგორც ერთგვარ „დამაშინებელ საშუალებაზე", რომელსაც, მათი აზრით, შეუძლია უზრუნველყოს მათი პოლიტიკური მიზნების განხორციელება. ეყრდნობიან რა ამ საშიშ შეცდომებს, დასავლეთის სახელმწიფოებს არა სურთ დაეთანხმონ ისეთ ნაბიჯსაც კი, როგორიც არის ამ იარაღის გამოცდის შეწყვეტა.

ამავე დროს ვერავინ ვერ უარყოფს, რომ ხალხები არათუ არ უჭერენ მხარს გამალებული ატომური შეიარაღების პოლიტიკას, რომელსაც საფუძვლად უდევს მუქარა ძალის გამოყენებისა ატომური და წყალბადის იარაღის ხმარებით, არამედ, პირიქით, სულ უფრო გადაჭრით მოითხოვენ, რომ ბოლო მოეღოს გამალებულ შეიარაღებას, მათ შორის ატომგულის იარაღის წარმოების დარგში, ბოლო მოეღოს ატომური ომის საფრთხეს. ამ განწყობილების ზრდის მჭევრმეტყველური გამოხატულებაა ის ფართო მხარდაჭერა, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ჰპოვა წინადადებამ ცენტრალურ ევროპაში ატომური და წყალბადის იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ, რომელიც გენერალური ასამბლეის XII სესიაზე შეიტანა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ. ეს წინადადება ითვალისწინებს, რომ, თუ ორივე გერმანული სახელმწიფო გამოთქვამს თანხმობას, რომ ძალაში შევიდეს მათს ტერიტორიებზე ატომური და წყალბადის იარაღის წარმოებისა და განლაგების აკრძალვა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა მზად იქნება ამავე დროს ასეთივე ღონისძიებანი განახორციელოს თავის საკუთარ ტერიტორიაზე.

ამის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობამ განაცხადა, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ინტერესებისათვის ჩეხოსლოვაკია მზად არის შეუერთდეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წინადადებას და იკისროს ვალდებულება — უარი თქვას ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ატომური და წყალბადის იარაღის წარმოებასა და განლაგებაზე იმ შემთხვევაში, თუ ორივე გერმანული სახელმწიფო იკისრებს ვალდებულებას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ორივე გერმანული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ატომური იარაღის წარმოებისა და განლაგების აკრძალვა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დიდი კმაყოფილებით მიესალმა პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის აღნიშნულ წინადადებებს. მან გენერალური ასამბლეის XII სესიის თავმჯდომარეს განუცხადა, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობათა მიერ გადადგმული ნაბიჯები, უეჭველია, მიზნად ისახავენ აღმოიფხვრას ევროპაში ატომური ომის საფრთხე და ქმნიან შესაძლებლობას, რომ ევროპაში შეიქმნას ატომური და წყალბადის იარაღისაგან თავისუფალი ზონა.

საბჭოთა მთავრობა, როგორც მას უკვე არაერთხელ განუცხადებია ამის შესახებ, სავსებით უჭერს მხარს წინადადებას ცენტრალურ ევროპაში ატომური და წყალბადის იარაღის წარმოებისა და განლაგებისაგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ. ამ ღონისძიების განხორციელება ხელს შეუწყობდა აგრეთვე ატომური ომის წარმოშობის საფრთხის თავიდან აცილების სხვა ღონისძიებათა განხორციელებას და ძვირფასი წვლილი იქნებოდა მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში ევროპის კონტინენტის ცენტრალურ ნაწილში, ერთ-ერთ ყველაზე საშიშ რაიონში, სადაც უშუალოდ უპირისპირდებიან ერთმანეთს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის წევრ სახელმწიფოთა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები და სადაც მშვიდობიანი დროის პირობებისათვის ჯარებისა და სხვადასხვა სახეობის სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების უჩვეულო თავმოყრაა.

ევროპაში ატომგულის იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნა შეესაბამება ევროპის ყველა სახელმწიფოს ხალხთა ძირეულ ინტერესებს, რომელნიც დიდად არიან შეშფოთებულნი ომის საფრთხით, რომელშიც გამოყენებული იქნება ატომური და წყალბადის იარაღი, და რომელნიც ითვალისწინებენ, თუ რა კატასტროფული შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ იარაღის გამოყენებას, განსაკუთრებით ევროპის მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში.

აღნიშნული ზონის შექმნის შესახებ წინადადების განხორციელება კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენდა მთელ საერთაშორისო ვითარებაზე და ხელს შეუწყობდა საჭირო პირობების შექმნას შემდგომი, უფრო რადიკალური ღონისძიებების მისაღებად როგორც განიარაღების დარგში, ისე სხვა დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგების საქმეშიც.

საბჭოთა მთავრობა მიესალმება და სავსებით უჭერს მხარს წინადადებას ზემოხსენებულ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ატომური და წყალბადის იარაღის წარმოებასა და განლაგებაზე იმ პირობით, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, თავის მხრივ, იკისრებს ასეთივე ვალდებულებას და, ამრიგად, შეესაძლებელს გახდის შეიქმნას ევროპის ცენტრში ატომგულისა და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალი ზონა. ეს შეესაბამება აგრეთვე გერმანელი ხალხის ინტერესებს. იგი არ შეიძლება დაინტერესებული არ იყოს ყოველი ღონისძიების განხორციელებით, რომელიც ხელს შეუწყობს გამანადგურებელი ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილებას.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ეფექტიანი განხორციელება წინადადებისა ევროპის ცენტრში ატომური და წყალბადის, აგრეთვე რაკეტული იარაღის წარმოებისა და განლაგებისაგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ მოითხოვს, რომ აღნიშნულ ზონაში მდებარე სახელმწიფოთა შესაბამის ვალდებულებებთან ერთად **სახელმწიფოებმა, რომლებსაც თავიანთი არმიების შეიარაღებაში აქვთ ატომგულისა და რაკეტული იარაღი, თავის მხრივ, იკისრონ საქვეყნო ვალდებულება — პატივი სცენ აღნიშნული ზონის სტატუსს და მასში შემავალ სახელმწიფოთა ტერიტორია მიიჩნიონ ატომური, წყალბადისა და რაკეტული იარაღის გამოყენების სფეროდან გამორიცხულად.** ეს დააკისრებდა აღნიშნულ სახელმწიფოებს არ შეაიარაღონ თავიანთი ჯარები და სხვა სახელმწიფოთა ჯარები, რომლებიც ზონის ტერიტორიაზე იმყოფებიან, ატომგულისა და რაკეტული იარაღით და არ გადასცენ ეს იარაღი ამ ზონის სახელმწიფოთა მთავრობებს ან ამ ზონაში განლაგებულ შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც სამხედრო დაჯგუფებათა სარდლობას ექვემდებარებიან, აგრეთვე არ შეიტანონ და არ ააგონ დანადგარები და სამხედრო ტექნიკა ატომგულის იარაღის მომსახურებისათვის, მათ შორის დანადგარები რაკეტების გასაშვებად.

საბჭოთა მთავრობა ამით აცხადებს, რომ მომავალში, სანამ დაიდება შეთანხმება ატომური და წყალბადის იარაღის სრული აკრძალვისა და ყველა სახელმწიფოს შეიარაღებიდან მისი ამოღების შესახებ, საბჭოთა კავშირი მზად არის იკისროს აღნიშნული ვალდებულებანი, თუ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები ასევე მოიქცევიან.

საბჭოთა კავშირის მთავრობა გამოთქვამს იმედს, რომ ყველა იმ ქვეყნის მთავრობები, რომლებსაც ატომგულისა და რაკეტული იარაღი აქვთ, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა დააფასებენ ამ ჰუმანური აქტის მნიშვნელობას, შეუერთდებიან მას და ამით საქმით შეუწყობენ ხელს იმას, რომ ბოლო მოეღოს გიჟურ ცდებს ატომური ომის კატასტროფაში ჩათრიონ მსოფლიო.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ერთობლივი განცხადება

პეკინი, 19 თებერვალი. (საკადესი). სინხუას სააგენტოს ცნობით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას მეგობრული ვიზიტის დროს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში გულითადი მიღება მოუწყეს კორეელმა ხალხმა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციასა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შორის გაიმართა მოლაპარაკება, რომელიც თავიდან ბოლომდე მიმდინარეობდა გულითადობისა და მეგობრობის ატმოსფეროში. ორივე მხარემ გაუზიარა ერთმანეთს აზრები ისეთ საკითხებზე, როგორიც არის: ორივე ქვეყანას შორის მეგობრობის განვითარება და თანამშრომლობის გაფართოება, სოციალისტური ქვეყნების მეგობრობისა და სოლიდარობის განმტკიცება, თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა და კორეის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრა. ორივე დელეგაციამ ყველა ზემოაღნიშნულ საკითხზე შეხედულებათა სრულ ერთიანობას მიაღწია.

მხარეებმა, ნათქვამია განცხადებაში ერთმეორეს, გაანალიზეს თავიანთ ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის მდგომარეობა და მხურვალედ მიუღოცეს ერთმანეთს წარმატებანი სოციალისტურ მშენებლობაში. მხარეები აღნიშნავენ, რომ ამ წარმატებებმა არა მარტო განამტკიცა სოციალიზმის მატერიალური ბაზა ორივე ქვეყანაში, არამედ დიდი წვლილიც შეიტანა სოციალიზმის ბანაკის საერთო საქმეში, ბანაკისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს.

მხარეები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ სოციალისტურმა ქვეყნებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში, და განსაკუთრებით იმას, რომ საბჭოთა კავშირი მეცნიერების და ტექნიკის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დარგებში უკვე გამოვიდა პირველ ადგილზე მსოფლიოში.

სხვადასხვა ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირი, რაც 1957 წლის ნოემბერში გაიმართა მოსკოვში, და ამ თათბირზე მიღებული დეკლარაციები, რომლებსაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, წარმოადგენენ ახალ ეტაპს სოციალისტური ქვეყნების შეკავშირებისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის სოლიდარობის გზაზე. მხარეები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სოციალისტური ქვეყნების შეკავშირება, რასაც საფუძვლად უდევს პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი ერთგულება, ყველა სოციალისტური ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი საწინდარია, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესის დიდმნიშვნელოვანი საწინდარია. მხარეები აცხადებენ, რომ ორივე ქვეყანა მზად არის კვლავაც ყველა ღონისძიება განახორციელოს, რათა განამტკიცოს და მჭიდროდ შეაკავშიროს ძალები სოციალისტური ბანაკის